ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 15 აპრილი, 2021 №64 (8593) ფასი: 60 თეთრი

გვ.2

გიორგი ხოჯევანიშვილი: „ხელახალ არჩევნებს შეიძლება მხარი დავუჭიროთ“

„გახარიამ დღე და ღამე ბოდიშები უნდა იხადოს“

ლადო სადღობელაშვილი: „ნამახვანჰესი ჩხარტიშვილის ბიზნესპროექტია“

„ვაშაძე არის ყველაზე ახლო საპარტნიორო წრეებში იმ პოლიტიკურ გუნდთან, რომელსაც აყალიბებს გახარია. მათ უკან კი დგას ჩხარტიშვილი“

გვ.3

გვ.2

გია ხუხაშვილი: „ნამახვანჰესთან დაკავშირებით „ოცნება“ ბნელი მხრიდან დავინახე, ოპოზიციაც დაშორებულია ხალხს“

„გახარიას მაღალი რეიტინგი ვარდნას დაიწყებს, მთავარია, მან ეს დროზე შეაჩეროს“

ლევან ალაფიშვილი: „ქართულ ოცნებაში“ იციან, რომ ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია“

გვ.3

რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დაძაბვა საქართველოზეც აისახება

რას პროგნოზირებს ამერიკული დაზვერვა?

გვ.4

გახარიას გუნდი ქვეყანაში პოლიტპატიმრების არსებობას აღიარებს?!

გვ.4

დავით ლორთქიფანიძე: „ინვესტორისთვის 100 წლით მიწის გადაცემა ბევრია“

ISSN 1987-9385

5 პროკურატურამ გოგონას მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტზე დედას ბრალი წარუდგინა

5 დავით კოდუამ ცოლს სახეში მუშტი დაარტყა, მერე კი ქალიშვილს სცემა

5 ბიზნესმენს პატიმრობა შეეფარდა

5 შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.259 ფაქტი გამოავლინა

6 ევროკავშირის ქვეყნები კოვიდპასპორტების შემოღებაზე შეთანხმდნენ

„გახარიას მაღალი რეიტინგი ვარდნას დაიწყებს, მთავარია, მან ეს დროზე შეაჩეროს“

გია ხუხაშვილი: „ნამახვანჰესთან დაკავშირებით „ოცნება“ ბნელი მხრიდან დავინახე, ოპოზიციაც დაშორებულია ხალხს“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტის ექვსმა დეპუტატმა „ქართული ოცნება“ დატოვა. მათ თქვეს, რომ გიორგი გახარიასთან ერთად ახალი პარტიის მშენებლობას იწყებენ. განცხადება გორისა და კასპის მაჟორიტარმა გიორგი ხოჯევანიშვილმა გააკეთა და მასთან ერთად „ოცნება“ დატოვეს დეპუტატებმა: ბექა ლილუაშვილმა, ანა ბუჩუკურმა, ალექსანდრე მოწერელიამ, მიხეილ დაუშვილმა და შალვა კერესელიძემ. მათ უკვე დაიკავეს ადგილები ოპოზიციის სავარძლებში.

რა იცვლება პოლიტიკურ ველზე ამ გადაწყვეტილებით და ხომ არ არის პარლამენტში ოპოზიციის შექმნის იმიტაციის მცდელობა? შეცვლის თუ არა დასავლეთის რიტორიკას და მოუწევს თუ არა ოპოზიციას ქმედებებში კორექტირება? და რატომ თვლის, რომ ნამახვანჰესთან დაკავშირებულმა პრობლემებმა აჩვენა, რომ ხალხს დაშორებულია ხელისუფლებაც და ოპოზიციაც? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.

– დეპუტატები, რომლებმაც „ქართული ოცნება“ დატოვეს, ოპოზიციის ადგილას გადასხდნენ. რეალურად გაჩნდა ოპოზიცია პარლამენტში და გახარიამ დაიწყო ოპოზიციური საქმიანობა აქტიურად თუ ეს არის იმიტაცია?

– რა არის, იცით? ძნელი სათქმელია და აზრი არ აქვს საუბარს იმაზე, რომ ეს ამის პროექტი და იმის პროექტია. ეს არის პოლიტიკური პროცესი, რომელიც რაღაცა დოზით და რაღაცნაირად ალბათ შეცვლის პოლიტიკურ მოზაიკას ქვეყანაში. შესაბამისად, ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და ამას ჩავუფინოთ რაღაც თეორიები, არა მგონია, რომ სწორი იყოს. უნდა დავაკვირდეთ ვითარებას პარლამენტში. კითხვები ჩნდება. უნდა დავაკვირდეთ რამდენად დამაჯერებელი იქნება მათზე პასუხები.

– თქვენ რა კითხვები გიჩნდებათ და მოვლენათა როგორი განვითარება წარმოგიდგენიათ?

– მე არ ვარ ჟურნალისტი, რომ კითხვები დავსვა. ცნობილი კითხვებია დაწყებული იმით, რომ თვითონ იყო ხელისუფლებაში და, შესაბამისად, პასუხისმგებელია ბევრ რამეზე, რაზეც ახლა თავად უნდა აკრიტიკოს ხელისუფლება. საინტერესოა, რა პასუხები ექნება აქ. არის კონკრეტული თემები, იგივე სინდისთან თუ სხვა თემებთან დაკავშირებით. ეს რთული პროცესი იქნება, მას აქვს მაღალი რეიტინგი, ყველაზე მაღალი რეიტინგი საქართველოში, მაგრამ ეს არის ე. წ. მოლოდინის რეიტინგი, ეს ჯერ არ არის პოლიტიკური რეიტინგი. იმიტომ, რომ ჯერ არ გამოსულა პოლიტიკურ ველზე და ველზე შემოსვლის შემდეგ ეს რეიტინგი დაიწყებს დაზუსტებას. საერთოდ ხშირად ხდება ხოლმე, როდესაც დიდ მოლოდინებს დიდი იმედგაცრუება მოყვება ხოლმე.

– ანუ მისი ეს რეიტინგი მყიფეა?

– კი. დაახლოებით დღეს მისი ნდობა თუ არის 40%-მდე, რაც საკმაოდ მაღალია, ის დაიწყებს ვარდნას. ვსაუბრობ ნდობაზე და არა რეიტინგზე. ის დაიწყებს ვარდნას და რა ნიშნულზე გაჩერდება, ეს ჩვენ არ ვიცით. 40%-ის შენარჩუნება მას გაუჭირდება, მაგრამ თუ ის მოახერხებს იმას, რომ ეს ვარდნა სადღაც შეაჩეროს, კარგი იქნება. დიაპაზონი არის 40%-დან ნულამდე. არაერთხელ გვინახავს, როდესაც მაღალი მოლოდინი ყოფილა ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ, მაგრამ პოლიტიკურ სივრცეში ვერ შეძლო თავის დამკვიდრება და უბრალოდ გამოვარდა პოლიტიკიდან.

მე წინასწარ ვერ გავაკეთებ პროგნოზებს და არც მგონია, რომ ახლა ამით უნდა დავკავდეთ. პროცესი გვაჩვენებს.

– ახსენეთ, რომ პოლიტიკური მოზაიკა შეიცვლება. ოპოზიციის მოქმედებებზეც ხომ არ მოახდენს ეს გავლენას?

– ოპოზიციას თავის ტკივილი გაუჩნდა. ბუნებრივია, ეს მოცემულობას ცვლის და რაღაცა კორექტირება შევა, რამდენად სისტემური და კრიტიკული იქნება ეს კორექტივები, არ ვიცი. ორივე პროპაგანდისტული ცენტრი დაიწყებს მობილიზებას და შეეცდებიან, რომ ერთმანეთის ბანაკში შეტენონ გახარია. „ქართული ოცნება“ იტყვის, რომ მიშას შეეკრა, ოპოზიცია იტყვის და უკვე ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილის პროექტია. ამ ყველაფერზე დამაჯერებელი პასუხებია საჭირო. უნდა დაველოდოთ და ვნახოთ, შეძლებს თუ არა გახარია დარწმუნებას, რომ ის დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალაა.

– საერთაშორისო თანამეგობრობის რიტორიკაც ხომ არ შეიცვლება თუნდაც იმის გამო, რომ ფორმალურად შეიქმნა ოპოზიცია?

– არა მგონია. თუ კრიზისის გადალახვის თვალსაზრისით ამბობთ, კრიზისი მოკლე ვადის საკითხია. გახარია კი ჯერ შემოსულიც არ არის და ის აქტორი ჯერ არ არის. აქედან გამომდინარე მე ამ ორ თემას ვერ დავაკავშირებდი.

– ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა ხელისუფლებას მიმართა, რომ თუ მეორე მხარე არ აწერს შეთანხმების დოკუმენტს ხელს, თქვენ მოაწერეთო. ეს კუთხეში ხომ არ აყენებს ხელისუფლებას?

– არა, რა პრობლემაა მისთვის ხელის მოწერა?!

– ნამახვანჰესის გარშემო არსებულ ვითარებაზე თქვენ რა პროცესები დაინახეთ ამ პერიოდში?

– მე დავინახე ხელისუფლება ძალიან ბნელი მხრიდან და იმის ნაცვლად, რომ საკუთარ მოსახლეობას აუხსნას და რეალურ დიალოგში შევიდეს მასთან, ხელების გადაგრეხვით ელაპარაკება. აბსოლუტურად სტერილურია და უნარი არ აქვს დიალოგის წარმოების და ის კონკრეტულ ინტერესთა ჯგუფების ინტერესს უფრო ემსახურება, ვიდრე ხალხს. იმის მიუხედავად, რა დევს შინაარსში.

ასევე დავინახე ის, რომ პოლიტიკური ოპოზიციაც დაშორებულია ხალხს. ფაქტობრივად უფსკრულია ხალხის რეალურ პრობლემებსა და მთლიანად პოლიტიკურ ელიტას შორის.

– ოპოზიციასთან მიმართებით რატომ დაინახეთ ეს?

– ოპოზიციის მთავარი კაპიტალი არის ის, როდესაც პროტესტის კაპიტალიზაციას ახდენს. ხალხში რა პროტესტიც არის ამასთან დაკავშირებით, ის ერთვება პროცესში და ხელისუფლებას პრობლემას უქმნის. ეს ხალხი კი არც ოპოზიციას იკარებს და არც ხელისუფლებას ენდობა. ეს აჩვენებს რეალურ პრობლემებს, როდესაც ხალხსა და ხელისუფლება-ოპოზიციას შორის არის უფსკრული. პოლიტიკური ელიტა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ხოლო ხალხი თავისი პრობლემებით. ეს არის რეალობა.

– შეცდომა იყო ხეობაში სპეცრაზმის შეყვანა?

– რა უნდა იქ სპეცრაზმს? მე რამდენადაც ვიცი, იქ საკმაოდ მშვიდობიანი აქცია იყო. თვითონ ხელისუფლებამ დანიშნა დამატებითი ექსპერტიზა. პრემიერმა გამოაცხადა, რომ კაშხლის მშენებლობა არ დაიწყება, სანამ დასკვნა არ დაიდება და აქციაზეც ხალხი განსაკუთრებული აგრესიით არ გამოირჩევა. შესაბამისად, სპეცრაზმის შეყვანა და ომის დაწყება რა საჭირო იყო?!

იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებამ დაპირება გასცა, წავიდა ხისტი სცენარით. ძალიან სამწუხაროა ხალხთან ასე ლაპარაკი, რომელიც არის ძალაუფლების წყარო და ისინი ხელისუფლებაში რომ არიან, ამ ხალხს უნდა უმადლოდნენ.

რაც ვნახეთ, ძალიან მძიმე საყურებელია.

გიორგი გახარიას გუნდმა „ქართული ოცნება“ დატოვა

გუშინ, 14 აპრილს, გიორგი გახარიას გუნდმა „ქართული ოცნება“ დატოვა.

საგანგებო განცხადება პარლამენტში გიორგი ხოჯევანიშვილმა გააკეთა:

– ჩვენ დღეიდან, გიორგი გახარიასთან ერთად, ერთობლივი გადაწყვეტილებით გადავდივართ პარტიის მშენებლობის ახალ ეტაპზე, ვტოვებთ „ქართულ ოცნებას“ და პარლამენტში მუშაობას გავაგრძელებთ, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატები.

ხოჯევანიშვილთან ერთად, „ქართულ ოცნებას“ ტოვებენ დეპუტატები ბექა ლილუაშვილი, ანა ბუჩუკური, ალექსანდრე მოწერელია, მიხეილ დაუშვილი და შალვა კერესელიძე.

მომხდარს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე გამოეხმაურა.

მან დეპუტატების გადაწყვეტილებას გაუმართლებელი უწოდა.

– ის არათანმიმდევრული დამოკიდებულება, რომელიც გიორგი გახარიამ გამოავლინა ბოლოს რთული გადაწყვეტილების მიღების დროს და გუნდთან ურთიერთობაში, დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. სამწუხაროა, რომ ჩვენმა კოლეგებმა პირადი ურთიერთობები აირჩიეს იმ სახელმწიფო ინტერესების და მიზნების პირობის ნაცვლად, რომელიც ჩვენ ერთად მივეცით საზოგადოებას და რაზეც ერთად გვქონდა აღებული პასუხისმგებლობა არჩევნების დროს.

ჩვენ დაველოდებით, ვნახავთ, რა პოლიტიკურ პარტიას შექმნიან, რა იქნება მათი პოზიციონირება, არსებობს ძალიან ბევრი კითხვა და ამ კითხვებზე იქნება პასუხი გასაცემი.

გუნდის პასუხისმგებლობაზე მითითება და საკუთარი პასუხისმგებლობისგან თავის გათავისუფლება მიუღებელია. ასეთი ნაბიჯი არის გაუმართლებელი, უბრალოდ სირცხვილია, როდესაც შენს საერთო პასუხისმგებლობას ტოვებ, გადიხარ აქედან და საუბრობ ზუსტად იმ პრობლემებზე, რომლებზეც შენც გეკისრება პასუხისმგებლობა და შენც გაქვს ვალდებულება, რომ ამის მოსაგვარებლად იმუშაო, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ლევან იოსელიანი: „გახარიას პარტია მთავარი თავსატეხი „ქართული ოცნებისთვის“ იქნება“

– ახალი პარტია, რომელიც შეიქმნება, მთავარი თავსატეხი და პრობლემა იქნება „ქართული ოცნებისთვის“.

ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ლევან იოსელიანმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, სადაც უმრავლესობიდან წასულ დეპუტატებსა და გიორგი გახარიას პოლიტიკური მომავალზე ისაუბრა.

როგორც ლევან იოსელიანი აცხადებს, გიორგი გახარიას რომ საზოგადოების მხარდაჭერა აქვს, მისი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ სოციალურ ქსელში გავრცელებულმა გამოხმაურებებმა აჩვენა.

– ახალი პარტია, რომელიც შეიქმნება, მთავარი თავსატეხი და პრობლემა იქნება „ქართული ოცნებისთვის“. მათი მხარდამჭერები არიან „ქართულ ოცნებასთან“ ყველაზე ახლოს მდგომი ადამიანები, ან ყოფილი მხარდამჭერები. ელექტორალური თვალსაზრისით „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ყველზე ბოლოს იქნება პრობლემა, – აცხადებს იოსელიანი.

როგორც ლევან იოსელიანი განმარტავს, პარლამენტში იმ პარტიებთან ითანამშრომლებს, ვინც მათი მოკავშირე იქნება საკითხების გადაწყვეტისას.

– მოკავშირეებს არ ვარჩევ პარტიების მიხედვით, მოკავშირეებს ვარჩევ საკითხისადმი მხარდაჭერის მიხედვით, – აცხადებს იოსელიანი.

ვარლამ გოლეთიანი: „ღამეს ქუთაისში გავათევთ, დილას კი გუმათში წავალთ“

„ნამახვანჰესის“ მშენებლობის მოწინააღმდეგეებმა გუშინ, 14 აპრილს, ქუთაისის ცენტრში, აქციის მიმდინარეობისას საზოგადოებას სამოქმედო გეგმა გააცნეს.

როგორც მათ განაცხადეს, თუ ხელისუფლება არ გადადგამს ადეკვატურ ნაბიჯებს, ისინი ქვეყნის პიკეტირებას მოახდენენ.

როგორც აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ვარლამ გოლეთიანი აცხადებს, ხელისუფლება იძულებული გახდება, აქციის მონაწილეების ყველა მოთხოვნა შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაკეტავენ ავტობანს და აქციები დედაქალაქში გადმოინაცვლებს.

– დღევანდელ ღამეს ვათენებთ აქ. ხვალ, 8:00 საათიდან გადავაადგილდებით გუმათში. თუ ხელისუფლება ჩვენ ამ დაურღვეველ დღევანდელ შეხვედრას კიდევ არ გაითვალისწინებს, არ ექნება მას ადეკვატური ნაბიჯების გადმოდგმის სურვილი ჩვენი მისამართით, ჩვენ დავაორგანიზებთ მთელი საქართველოს მასშტაბით ქვეყნის პიკეტირებას ყველა რეგიონში, ყველა ქალაქში! ჩვენ დავკეტავთ ავტობანსაც!

ისინი იძულებულები გახდებიან, შეასრულონ ყველა ჩვენი სამართლიანი და არგუმენტირებული მოთხოვნა. თუ მთელი ქვეყნის პიკეტირებაც არ გახდება საკმარისი, ჩვენ, ყველა ერთად ყველა მხრიდან დავიძვრებით დედაქალაქში და აქციებს დავიწყებთ, – აცხადებს გოლეთიანი.

გიორგი ხოჯევანიშვილი: „ხელახალ არჩევნებს შეიძლება მხარი დავუჭიროთ“

პარლამენტის დეპუტატი გიორგი ხოჯევანიშვილი, რომელმაც 5 თანაგუნდელთან ერთად „ქართული ოცნება“ დატოვა და ყოფილი პრემიერის, გიორგი გახარიას გუნდს შეუერთდა, აცხადებს, რომ, შესაძლოა, ხელახალი არჩევნების დანიშვნას მხარი დაუჭირონ.

– მე პირადად და ჩემი გუნდი მივიჩნევთ, რომ ხელახალი არჩევნების დანიშვნას, თუ იქნება ერთადერთი გამოსავალი, რომ ეს რადიკალიზაცია დამთავრდეს, შესაძლოა, მხარიც დავუჭიროთ.

არჩევნები არ გაყალბებულა, ეს ნიშნავს, რომ შეიძლება ყოფილიყო მცირედი დარღვევები, რომელიც ზეგავლენას ვერ მოახდენდა არჩევნების შედეგებზე.

ნიკა მელია და გიორგი რურუა პოლიტპატიმრები არ არიან.

რაც შეეხება სასამართლო სისტემას, მას ძალიან ბევრი პრობლემა აქვს დღეს. სასამართლო სისტემა, რომელიც დღეს გვაქვს, რადიკალურად განსხვავდება იმ სასამართლო სისტემისგან, რომელიც საზოგადოებას ჰქონდა 2012 წლამდე, – განაცხადა ხოჯევანიშვილმა რუსთავი 2-თან საუბარში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარიამ დღე და ღამე ბოდიშები უნდა იხადოს“

ლადო სადღობელაშვილი: „ნამახვანჰესი ჩხარტიშვილის ბიზნესპროექტია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, იყო მოლოდინები და ზოგიერთი ექსპერტი პროგნოზირებდა კიდეც ამას, რომ გახარიას გუნდი გამოეყოფოდა უმრავლესობას და ცალკე ფრაქციას შექმნიდა. მოლოდინი გამართლდა. საზოგადოებაში უკვე გაჩნდა შეფასებები, ზოგს მოსწონს ეს გადაწყვეტილება. გახარიას გუნდი ძველ ოპოზიციას ჩაანაცვლებსო. რას იტყვით თქვენ გახარიას ამ პოლიტიკურ ნაბიჯზე?

– ეს გუნდი ოპოზიციად უნდა მოვიაზროთ?! ის გუნდი, ვინც მთავრობაში იყო, ზოგი კანცელარიაში და სხვადასხვა უწყებებში მაღალ თანამდებობებზე, ახლა უცებ ოპოზიციად იქცა?! ჩემი აზრით, ეს ოპოზიცია ვერ იქნება. ძალიან მარტივად შეიძლება ამის თქმა, რადგან ამ ბოლოდროინდელი კრიზისების შემქმნელი არის სწორედ ეს გუნდი, რომელიც ახლა გამოეყო „ოცნებას“.

– თალაკვაძის შეფასებაც მოვისმინეთ, სხვა დანარჩენთან ერთად მან ისიც თქვა, როდესაც ოპოზიცია კარგავს თავის ადგილს პოლიტიკაში, ამ ადგილს აუცილებლად დაიკავებს სხვაო. იქნება ეს გახარია?

– მე ვფიქრობ, რომ „ქართულ ოცნებას“ ყველაზე მეტად აწყობს ახლა აი ასეთი სახის ოპოზიცია. და ძალიან მარტივად გეტყვით რატომ, როდესაც მთავრობა იცვლება, ახალი მთავრობა ძველს ხომ ათას უბედურებას აბრალებს, აი დაახლოებით ასეთი სიუჟეტის მომსწრეები გავხდებით. ესენი იქნებიან, ჩემი აზრით, „ბოქსიორები“ „გრუშებს“ რომ ეძახიან, სწორედ ის. ერთ დროს სააკაშვილი რომ ურტყამდა შევარდნაძეს და ყველაფერს მას აბრალებდა, მერე ესენი მოვიდნენ და ესენი აბრალებდნენ სააკაშვილს. ახლა იცით რა გამოვიდა, მთავრობამ გააკეთა კიდევ ერთი ოპოზიცია, რომელიც გაუშვა მთავრობიდან, მოკლედ შიდა რევოლუციის მომსწრენი გავხდით. გუნდშივე გაირიყა რაღაცა ქვეგუნდი, რომელიც იყო ერთ დროს მმართველი და ახლა სწორედ ამ ყოფილ მმართველ გუნდს შეაწმენდენ ხელებს.

– რა პროცესების დასაწყისს ხედავთ?

– რაიმე განსაკუთრებულ პროცესს მე ვერ ვხედავ. გამოდის ექვსი საპარლამენტო დეპუტატი, რომელთაგანაც ოთხის შესახებ ამ არჩევნების შემდეგ გავიგეთ, საერთოდ რომ არსებობდნენ ასეთი ადამიანები. ხოჯევანიშვილს არ ვგულისხმობ, ის „ოცნების“ გუნდის წევრი იყო და საკვანძო თანამდებობებიც ეკავა. დანარჩენები ვინ არიან? საერთოდ ვინ არიან, ვინმემ გადახედა მათ წარსულს?! მე გადავხედე და მათი ნაწილი ნაციონალური მოძრაობის დროსაც საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე იყო. ბევრი ასეთი პროცესი გვინახავს ჩვენ. ამაზე დიდი შემადგენლობა გამოეყო „ოცნებას“. კვირიკაშვილი რომ წავიდა, გვახსოვს ორი ნაკადი გამოეყო „ქართულ ოცნებას“. სად არის დღეს ეს ხალხი?! იმიტომ კი არ ვამბობ, რომ „ოცნებას“ ვგულშემატკივრობ, არა. სწორედ ამ ადამიანების გამო, სწორედ ეს გახარია იყო იქ, რომელიც შეგნებულად ქმნიდა კრიზისებს, იყო ეს პოლიტიკური თუ ეკონომიური კრიზისი და შემდგომ ამ კრიზისებით მანიპულირებდა. სწორედ ეს სიბინძურე, რასაც პოლიტიკური ინტრიგნობა და ბინძური პოლიტიკური თამაში ჰქვია, აი ეს სიბინძურე გამოეყო „ოცნებას“. აი დღესაც ნამახვანჰესზე რომ არის საუბარი და ასე მწვავედ დგას ეს საკითხი, ესეც სწორედ ამ გუნდის დამსახურებაა.

– გახარიას გუნდის?

– დიახ. კიდევ შემორჩენილები რომ არიან ეკონომიკის მინისტრების თამადობით მთავრობაში, აი იმათი ბრალეულობა არის ის უბედურება, რაც ნამახვარჰესთან დაკავშირებით დღეს ტრიალებს ქვეყანაში. ამიტომ ეს ბალასტი უნდა მოიშორონ! გამოდიან და პოლარიზებას უსვამენ ხაზს. როგორც ჩანს, მზად არიან დამნაშავე რეჟიმთან ითანამშრომლონ, მათთან, ვინც ხალხს აწამებდა. დაიღალა საზოგადოებაო, საზოგადოება დაიღალა იმით, რაც მათ გააკეთეს ამ წლების განმავლობაში!

– რა გააკეთეს?

– ვინ მოუღო ბოლო ნაადრევად ეკონომიკას და ვინ ჩააგდო ნაადრევად კრიზისში ქვეყანა?! გახარიას გუნდმა, რომელმაც გამოაცხადა პანდემია და მიხურა რესტორნები და სასტუმროები.

– ვისი კაცია გახარია? ვისი საქმე გააკეთა?

– მე მგონია, აქ პროცესი ახლა ასეთია, რომ ნამახვანჰესს ვერ ერევიან, ან არ ერევიან შეგნებულად, მთავრობაზე მაქვს საუბარი, ხოლო გახარიას თავის მხრივ ჰქონდა ვალდებულება თავის ფინანსურ მენეჯერთან აღებული, რომ ნამახვანჰესი გადაერიცხებოდა ჩხარტიშვილს, ეტყობა, ეს ყველაფერი რადგან ვერ ხერხდება, შესაბამისად, გამოვიდა კონტროლიდან ნამახვანჰესის ირგვლივ მიმდინარე პროცესები, ეს საპროტესტო აქციები. შესაბამისად გახდა საჭირო უარის თქმა სახელმწიფოს მხრიდან ე.წ. ინვესტორზე, სინამდვილეში კი ჩხარტიშვილზე. მე ხმამაღლა ვამბობ ამას, რომ ეს ჩხარტიშვილის ბიზნესპროექტია და მეტი არავისი. შესაბამისად გახდა საჭირო ამ გუნდის გამოყოფა. ჩემი აზრი ასეთია, რომ ნამახვანჰესის პროექტს უახლოეს პერიოდში შეაჩერებენ. ეს ძალიან ცხელი წერტილია და თუ დროზე არ იმოქმედებს ხელისუფლება, ძალიან ცუდად შემოუბრუნდება. პარალელურად მიდის გახარიას გუნდის გარიყვა იმ პროცესებიდან, რა პროცესებშიც ის იყო ჩაფლული.

– რატომ ვერ მიიღო ამ დრომდე ხელისუფლებამ გადაწყვეტილება, სერიოზული ვალდებულებები დევს ამ პროექტში?

– მაგას ვამბობ, რომ ვალდებულებებია. არსებობდა გუნდი და ჯერჯერობით არსებობს მთავრობაში, რომელსაც ვალდებულება აქვს აღებული იმ პირების წინაშე, რომელიც უზრუნველყოფდა, მაგალითად, არჩევნების და სხვა სამთავრობო პროექტების ფინანსურ მხარეებს. მე საუბარი მაქვს ჩხარტიშვილზე. არავისთვის ახალი არ არის და ყველა აღიარებს ამას, რომ გახარიას უმთავრესი მსხვილი ბიზნესპარტნორი იყო ჩხარტიშვილი. გახარია მოვიდა სწორედ ჩხარტიშვილის პროექტების განსახორციელებლად. მე ვეღდები, რომ ხელისუფლება ძალიან მალე ნამახვანჰესის პროექტს გააჩერებს. ჩხარტიშვილმა და გახარიამ გააღატაკეს ქვეყანა. დღეს კი გამოდის გახარიას ექვსკაციანი საპარლამენტო გუნდი და გვეუბნება, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სიდუხჭირეაო. ვინ შექმნა ეს ეკონომიკური სიდუხჭირე?! ბოლო ერთი წელია ქვეყანა არის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში, რომელსაც ხელი შეუწყო გახარიამ და მისმა გუნდმა. დღეს დგანან და უტიფრად აცხადებენ, რომ ქვეყანაში მძიმე სიტუაციაა და ეს გამოსასწორებელიაო.

– გახარიას სჭირდება ცნობილი სახეები, სჭირდება პარტნიორები, ვისთან ითანამშრომლებს ის, როგორ ფიქრობთ? ვის ვიხილავთ მის გვერდით?

– გახარია არ იყო ძველი პოლიტიკოსი და არც ძველი და ძლიერი გუნდი ჰყავდა, მაგრამ მინდა მკითხველმა სწორად გაიგოს ჩემი ნათქვამი, პოლიტიკა ფულის გარეშე არ გამოვა. ყველა პოლიტიკურ ნაბიჯს ფული სჭირდება. ოფისიდან დაწყებული, ბენზინით და რეკლამით დამთავრებული, ყველაფერში ფულია საჭირო. ვინც ასოცირდებოდა და ახლაც ასოცირდება ჩხარტიშვილთან, სწორედ მათ ვიხილავთ გახარიას გვერდით. პირველი ვინც მიტივტივდება თავში, ეს არის გიორგი ვაშაძე, ბატონი დაღმაშენებელი და არა აღმაშენებელი. ჩემი აზრით, ვაშაძე არის ყველაზე ახლო საპარტნიორო წრეებში იმ პოლიტიკურ გუნდთან, რომელსაც აყალიბებს გახარია. მათ უკან კი დგას ჩხარტიშვილი. ახლა ჩვენ რა გვინდა, რომ ვაის გავეყაროთ და ვუის შევეყაროთ?! სიბინძურისკენ და წარსულისკენ სვლა, არის ძალიან ცუდი! ის კრიზისები, რომელიც დღეს ქვეყანაშია შექმნილი, გინდ ეკონომიკური, გინდ პოლიტიკური, დიდწილად, გახარიას დამსახურებაა! ჯერ მარტო 20 ივნისი ეყოფა გახარიას. კითხვებს პასუხი არ გასცემია. გამოვიდეს გახარია და თქვას, როგორც შეშვენის მას ელგებეტე საზოგადოების და ბარიგების წინაშე ბოდიშების მოხდა, მინიმუმ უნდა ადგეს და ბოდიშები უნდა იხადოს დღე და ღამე. ასევე ბოდიშები უნდა იხადოს იმის გამო, რომ ქვეყნის განვითარება დაამუხრუჭა. დღეს 300 ათასზე მეტი ადამიანი უმუშევრად დარჩა და ეს სწორედ გახარიას ბრალია.

„ვაშაძე არის ყველაზე ახლო საპარტნიორო წრეებში იმ პოლიტიკურ გუნდთან, რომელსაც აყალიბებს გახარია. მათ უკან კი დგას ჩხარტიშვილი“

– რატომ არის მაინცდამაინც გახარიას ბრალი?

– სწორედ რომ არის. მან ეს გააკეთა იმიტომ, რომ გაეხანგრძლივებინა თავისი ყოფნა მთავრობაში. სწორედ ამიტომ გააკეთა, თორემ მის წასვლაზე საუბარი, ჯერ კიდევ არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე იყო. თუმცა არ წავიდა, რადგან ჩხარტიშვილის ჭია უნდა გაეხარებინა. კიდევ არ წავიდა იმიტომ, რომ მას ჰყოლოდა საპარლამენტო გუნდი და საპარლამენტო ტრიბუნა ჰქონოდა. ექვს ადამიანს გადააყოლა ქვეყანა და 300 ათასი ადამიანი დატოვა სამსახურის გარეშე.

ლევან ალაფიშვილი: „ქართულ ოცნებაში“ იციან, რომ ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.
კონსტიტუციონალისტი არ გამორიცხავს, რომ გუნდის რღვევის პროცესი შეუქცევადი გახდეს და დღის წესრიგში ბუნებრივად დადგეს ვადამდელი არჩევნების საკითხი.

– ბატონო ლევან, „ქართული ოცნების“ რიგების დატოვება კვლავ რამდენად არის მოსალოდნელი? ბოკერია ამბობს, რომ ივანიშვილის ირგვლივ, როგორც ჩანს, მართლაც არის მცდელობა, მოხდეს „ბ“ გუნდის ფორმირება.

– იმ სახელმწიფოში, სადაც პარტიული სისტემა არ არის დაფუძნებული იმაზე, რაზეც უნდა იყოს, როგორც ეს ხდება დასავლურ ქვეყნებში, სადაც პარტიას გააჩნია ფასეულობები, პოლიტიკური ორიენტაცია, ხედვა, რასაკვირველია, იქ ყველაფერი არის მოსალოდნელი. როდესაც განმსაზღვრელია მხოლოდ ერთი ადამიანის ან მასთან დაკავშირებული ჯგუფის ინტერესების გატარება თუ მსახურება, ასეთ პარტიულ სისტემაში ყველაფერი შესაძლებელია.

– თუმცა, რამდენად მარტივი იქნება ეს ყველაფერი? თუნდაც გახარიას გარკვეულ კითხვებზე არ მოუწევს პასუხის გაცემა?

– რამდენად მარტივად გამოუვათ ეს ყველაფერი? სამწუხაროდ, ჩვენი 30– წლიანი უახლესი პოლიტიკის ისტორია მხოლოდ ამ გამოცდილებას გვაძლევს. თუნდაც 2003 წლამდე და 2003 წლის შემდეგაც დღემდე მოყოლებული. ყველა, ე.წ. ახალი კავშირში იყო ძველთან. ამიტომ ვამბობ, რომ პრობლემა ძალიან სერიოზული და ძალიან სიღრმისეულია. ყველაფერი საზოგადოებაზე, მის პოლიტიკურ კულტურასა და სიმაღლეზეა დაფუძნებული.

რამდენად გასცემს გახარია არსებულ კითხვებზე პასუხს: თუ საზოგადოება მოსთხოვს პასუხს, რასაკვირველია, პასუხის გაცემაც მოუწევს, მაგრამ თუ არ მოსთხოვს და წაუყრუებს, პასუხსაც არავინ გასცემს. ამაზე როდესაც ვსაუბრობ, ვგულისხმობ თითოეულ მოქალაქეს, მათ შორის საკუთარ თავსაც და არავითარ შემთხვევაში პოლიტიკოსებს.

– თქვენ რამდენად უშვებთ, რომ გიორგი გახარიას პარტიის ფორმირების შემდეგ, რამდენიმე თვეში, რიგგარეშე არჩევნებიც დაინიშნოს?

– წმინდა სამართლებრივად ჯერ საპარლამენტო უმრავლესობა სახეზეა და ის არ დაშლილა. „ქართული ოცნების“ შემადგენლობა როგორც კი 76 მანდატს ჩამოსცდება და თუ გაგრძელდება პარტიის დატოვების პროცესი, ამ შემთხვევაში კონსტიტუციური საფუძველი შეიქმნება ახალი მთავრობის ფორმირების, რისი შესაძლებლობაც, ბუნებრივია, ვეღარ იარსებებს თუკი პარლამენტში არ იქნება 76-მანდატიანი საპარლამენტო უმრავლესობა.

– და ამ დროს ინიშნება ვადამდელი არჩევნები?

– ამ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება არა მხოლოდ პოლიტიკური ლეგიტიმაციის საკითხი, არამედ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი, რადგან პარლამენტი უუნაროა შექმნას მთავრობა.

– სწორედ აქეთკენ მიდის ყველაფერი?

– სავარაუდოა, რომ პროცესები სწორედ ასე განვითარდეს. რეალურად, საქართველოში არც ერთი მთავრობა, პოლიტიკური სუბიექტი ორ ვადაზე მეტხანს არ ყოფილა ძალაუფლებაში. უნდა თუ არ უნდა ვინმეს, ეს კარგია თუ არ არის კარგი, ეს არის ამომრჩევლის ნება. ქართველი ამომრჩეველიც ითმენს, ითმენს და როდესაც ბრაზდება, სერიოზულად ბრაზდება და იღებს გადაწყვეტილებას. ხშირად ეს გადაწყვეტილება შეიძლება ირაციონალურიც კი იყოს და ხშირად ამას პოლიტიკური ჯგუფები არაკეთილსინდისიერადაც კი იყენებენ, მაგრამ ფაქტია, ამომრჩეველი ასე იქცევა.

– „ქართული ოცნება“ რამდენად შეეგუება ამ ყველაფერს?

– მმართველ პოლიტიკურ ძალაში ძალიან კარგად იციან, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალია. მშვენივრად ხვდებიან „ქართულ ოცნებაში“, რომ ეს პარლამენტი ამ ლეგიტიმაციითა და ამ პოლიტიკური კაპიტალით 2024 წლამდე ვეღარ მიაღწევს.

– დაუშვებენ ჩანაცვლებას?

– ბუნებრივია, ისინი გადარჩენაზე იზრუნებენ. პრობლემა ისაა, დღეს ისინი ვერ ხვდებიან, რომ იმაზე მეტი მიიღეს, რაც დაიმსახურეს. დღეს მათ აქვთ იმაზე მეტი ძალაუფლება და იმაზე მეტი მანდატი, რაც რეალურად ამომრჩეველმა გაიმეტა მათთვის.

ხატია დეკანოიძე: „გახარიას ოპოზიციონერობა ჩემთვის ბურუსითაა მოსილი“

– გიორგი გახარიას ოპოზიციონერობა ამ შემთხვევაში ცოტა გაურკვეველი და ბურუსით მოსილია.

ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ხატია დეკანოიძემ მედიასთან განაცხადა.

მისთვის, ამ ეტაპზე, უმრავლესობიდან წასული დეპუტატები და გიორგი გახარია ოპოზიციას არ წარმოადგენენ.

– სანამ რაღაც ოპოზიციონერობაზე განაცხადებენ პრეტენზიას, მანამდე ძალიან მნიშვნელოვან კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი. პირველი, როგორ შეფასებას აძლევს ივანიშვილის ხელისუფლებას და ივანიშვილის რეჟიმს, როგორ შეფასებას აძლევს იმ წლებს, როდესაც თვითონ იყო პრემიერი, მათ შორის, მაღალ თანამდებობებს იკავებდა. ვინ გასცა ბრძანება 20 ივნისს ადამიანების დარბევაზე. თუ მას არ გაუცია ეს ბრძანება, მაშინ რატომ არაფერი არ თქვა?!

თუ ამ კითხვებს გაეცემა პასუხი, ისიც და მისი გუნდის წევრებიც კონკრეტულად, ადეკვატურ შეფასებას დაიმსახურებენ საზოგადოების მხრიდან, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

კითხვას, შეიძლება თუ არა განიხილონ უმრავლესობიდან წასული დეპუტატები და გიორგი გახარია, როგორც ბიძინა ივანიშვილის პროექტი, დეკანოიძე პასუხობს, რომ „მას არ სჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილი ყოვლისშემძლეა“.

მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ ირღვევა, ამასთან, იშლება პარლამენტშიც.

– თუ რაიმე სახის პოლიტიკური კონიუნქტურა ექნება გიორგი გახარიას და მასთან ასოცირებულ ადამიანებს, პირველ რიგში, ეს იქნება იმის ნიშანი, რომ „ქართული ოცნება“ ირღვევა. ასეც არის, „ქართული ოცნება“ დაირღვა, იშლება პარლამენტშიც, – აღნიშნა დეკანოიძემ.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

გახარიას გუნდი ქვეყანაში პოლიტპატიმრების არსებობას აღიარებს?!

დავით ლორთქიფანიძე: „ინვესტორისთვის 100 წლით მიწის გადაცემა ბევრია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე ცვლილებებს როგორ აფასებთ? გახარიამ თავისი გუნდი „ოცნებიდან“ გაიყვანა. გახარიასა და მისი გუნდის გადაწყვეტილებაზე თქვენი რეაქცია როგორი იყო?

– ამის მოლოდინი მქონდა, ვფიქრობდი, რომ ასე მოხდებოდა. ჩემი მოლოდინი გამართლდა. დასამალი არ არის, რომ ყოფილ პრემიერს საპარლამენტო გუნდში თავისი ხალხი ჰყავდა ჩასმული. ამას გინდა კვოტა დავარქვათ, გინდა თავისი გავლენით გასული დეპუტატები. გახარია ოპოზიციაში რომ არ გადასულიყო, მაშინ ისინი „ოცნებას“ არ დატოვებდნენ, ბუნებრივია. იმ პოლიტიკურ გუნდში დარჩებოდნენ, რომელიც ხელისუფლებაშია. უმეტესობა მათგანი პოლიტიკურ თანამდებობებზე იყვნენ და საპარლამენტო ხელისუფლებაშიც მოვიდნენ. მათი „ოცნებიდან“ გასვლა, აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო.

– ჯგუფმა, რომელიც გამოეყო „ოცნებას“, განაცხადა, რომ დაშვებულ შეცდომებს აცნობიერებს. როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდნენ?

– მათი განცხადება არ მომისმენია, მაგრამ ისინი ამ მოცემულობაში სხვა განცხადებას ვერც გააკეთებდნენ, რადგან ოპოზიციაში მიდიან. თუ ოპოზიციაში არ მიდიან, ყოფილიყვნენ იქ, სადაც იყვნენ – ხელისუფლებაში და ხელისუფლებაში დარჩებოდნენ.

რაც შეეხება იმას, თუ რა პასუხისმგებლობას იღებენ თავის თავზე, ამასთან დაკავშირებით მათ საზოგადოებისთვის მოუწევთ პასუხების გაცემა. არ ვიცი, ისინი პასუხისმგებლობას რაზე იღებენ. პოლიტიკაში პასუხისმგებლობის აღება რიგ შემთხვევაში პოზიციის დათმობას, რაღაცაზე უარის თქმას ნიშნავს.

– მაგალითად, რაზე?

– პასუხისმგებლობის აღება ნიშნავს, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას, თანამდებობიდან წასვლას. ისინი, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირები – პარლამენტის წევრები, პოლიტიკური თანამდებობის პირებად რჩებიან, ანუ საპარლამენტო საქმიანობას აგრძელებენ. ამიტომ, კონკრეტულად, რას გულისხმობენ, მათ ამაზე პასუხების გაცემა მოუწევთ იმიტომ კი არა, რომ ვინმეს ახირებაა, არამედ ისინი იმ პოლიტიკურ ველში ვერ შევლენ, რასაც ხელისუფლების საწინააღმდეგო ველი ჰქვია.

– რატომ?

– უცხო სხეულები იქნებიან. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ ასეთი ნაბიჯი გადაედგათ. უმოკლეს დროში უნდა გამოჩნდეს, როგორია მათი პოზიცია. ისინიც იზიარებენ თუ არა ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების არსებობას, რასაც ოპოზიცია ამბობს. იზიარებენ თუ არა რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის პოზიციას, რასაც ოპოზიცია მოითხოვს, ანუ ყველა ამ საკითხზე მათ თავისი პოზიცია, რაც შეიძლება მალე უნდა დააფიქსირონ.

– პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გიორგი გახარიამ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედა, როცა პრემიერობიდან გადადგა და „ოცნების“ გუნდი დატოვა. გახარიას გადადგომა პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობდა, თუ „ოცნების“ წიაღიდან მესამე ძალის შექმნის მცდელობაა?

– შეფასება, რომ გახარიამ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედა (როცა გუნდი დატოვა), პირობითია. საერთოდ, ადამიანები ნაბიჯს დგამენ პირადი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე და შემდეგ ამას სხვა განწყობას უსადაგებენ. კონკრეტულ თემაზე პირადი დამოკიდებულება თუ არ აქვს, ის ნაბიჯს არ გადადგამს. ამიტომ იმაზე, რაც არჩილ თალაკვაძემ თქვა, შეიძლება ყველა ადამიანს თავისი დამოკიდებულება ჰქონდეს.

ანუ გახარიას მიერ გადადგმული ნაბიჯი იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკაში დარჩენა აქვს განზრახული. პოლიტიკაში გუნდის გარეშე ვერ დარჩება. საბოლოო ჯამში, თუ ის პარტიის ლიდერია, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე იქნება. მნიშვნელოვანია ის, თუ გახარიას პირადი ინტერესები საქართველოს ინტერესებთან რამდენად იქნება თანხვედრილი.

– თუ გახსენდებათ გახარიას ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც შეცდომად მიიჩნევთ?

– სიმართლე გითხრათ, ალბათ, გახარიასთან ყველაზე დიდი კითხვები დღეს ოპოზიციასა და ხელისუფლებაში მყოფ გუნდს (რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ), 20 ივნისთან დაკავშირებით ექნება. ამ კითხვას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ასცდება.

– თუმცა, არაერთი პოსტი წამიკითხავს, რომ თითქოს გახარიამ სხვისი ჩადენილი დანაშაული დაიბრალა.

– მინდა სწორად გამიგოთ – მე მომხდარის სამართლებრივ შეფასებას არ მოვახდენ იმიტომ, რომ იქ იყო უკანონო მოქმედებები და ადამიანების გარკვეულ ჯგუფს ჰქონდა მცდელობები, შესულიყვნენ პარლამენტის გინდ ეზოში, გინდ შენობაში, რაც ბუნებრივად გამოიწვევდა ძალიან სერიოზულ მღელვარებას, კატაკლიზმებს.

ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ სამართლებრივად, მის ხელთ არსებულ ყველა საკანონმდებლო ჩარჩოში უნდა იმოქმედოს. ამიტომ გახარიას მოუწევს ამაზე პასუხის გაცემა. ალბათ, გასცემს პასუხს – ალბათ, იტყვის, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციის რისკები და საშიშროება იყო. შს მინისტრმა და მისდამი დაქვემდებარებულმა უწყებამ გაატარა ზომები, რომელიც სტაბილური მდგომარეობის შესანარჩუნებლად აუცილებელ ზომად ჩაითვალა. ამასთან დაკავშირებით გახარიას, ალბათ, თავისი არგუმენტირებული პასუხი ექნება, რაზეც შეიძლება საზოგადოებას კითხვები ჰქონდეს.

მოკლე დროში ვნახავთ, რა კითხვები იქნება გიორგი გახარიასა და მისი გუნდის მიმართ. კითხვები რომ იქნება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

– როგორ ფიქრობთ, გახარია ისეთ ძალას შექმნის, რომ ის, შეიძლება, ხელისუფლებაში ისევ მოვიდეს, ახლა უკვე თავისი ქარიზმითა და პასუხისმგებლობით?

– გახარიას ნამდვილად აქვს საზოგადოების ნაწილის მხარდაჭერა. მას შეუძლია გულწრფელ ნიადაგზე შექმნას ისეთი პოლიტიკური მოცემულობა, რომელიც საშუალებას მისცემს, ქართულ პოლიტიკაში ბრძოლისუნარიანი პოლიტიკური გუნდი ჩამოაყალიბოს.

თუმცა, მე არ ვამბობ იმას, რომ ის გაიმარჯვებს და ხელისუფლებაში მოვა. პოლიტიკაში თავისი ადგილი რომ დაიმკვიდროს, ამის მოცემულობა მას აქვს.

– გახარიას ხელი აქვს მოწერილი ნამახვანჰესის პროექტზე (რომელიც შეიქმნა ნაცების დროს, 2007 წელს და მას მაშინდელმა პრემიერმა გილაურმა მოაწერა ხელი). თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ პროექტის მიმართ?

– პირდაპირ გეტყვით – მე აბსოლუტურად ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების მომხრე ვარ. ეკონომიკის გაძლიერება დამოუკიდებელი ენერგოუზრუნველყოფის გარეშე წარმოუდგენელია. თუ შენ სხვაზე იქნები დამოკიდებული, ენერგეტიკის განვითარება წარმოუდგენელია, მაგრამ ამის წინაპირობა უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ არგუმენტირებული, მყარად დასაბუთებული, ექსპერტული დასკვნებით შეჯერებული და, რაც არცთუ ისე უმნიშვნელოა, საზოგადოებასთან დიალოგში მიღწეული კონსენსუსი.

თუ ყველაფერი ერთად არ იქნება, გაჭირდება არა მარტო ნამახვანის, არამედ ნებისმიერი სერიოზული პროექტის განხორციელება, რომელიც დაკავშირებული იქნება ჩვენს ეროვნულ სიმდიდრესთან, როგორიც არის მიწა, წყალი, ბუნებრივი რესურსები. ამ კომპონენტების გარეშე ვერაფერი გაკეთდება.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია მყარი ექსპერტული დასკვნა (რომელსაც წყალი არ გაუვა). ძალიან სერიოზული, მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტების ვიზირებული, საზოგადოებას პასუხგაუცემელი კითხვები არ უნდა დარჩეს.

– ნამახვანჰესთან დაკავშირებით ერთი დეტალია – თუ არ ვცდები, მიწა ინვესტორს 100 წლით უნდა გადაეცეს. ეს დასაშვებია?

– საქმეც ზუსტად ესაა, ეს კითხვები აუცილებლად გაჩნდება. ამ კითხვას დასვამენ. 100 წელია 2 წელი ხომ არ არის. მიწის 100 წლით სარგებლობაში გადაცემას, გვერდით უნდა ედოს და საფუძველს უმაგრებდეს ძალიან მყარი ეკონომიკური ანალიზი.

– ნამახვანის პროექტს როგორი ეკონომიკური ანალიზიც უნდა ახლდეს, 100 წელი მაინც ბევრია.

– ზუსტად მაგას გეუბნებით. თუ ინვესტორი ასაბუთებს, რომ მისთვის პირველი 10-15 წელი მომგებიანი არ იქნება, ე.ი. ამ პროექტზე კითხვები ჩნდება. ამ ხელშეკრულების დეტალებს არ ვიცნობ, ამიტომ არ შემიძლია დეტალებს ჩავუღრმავდე, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ ქართულ სიმდიდრეს (ენას, მამულს, სარწმუნოებას) რა დონის ინვესტორიც უნდა იყოს, მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური ეკონომიკური პარამეტრები უნდა აბალანსებდეს. თუ აქაც კითხვის ნიშნები გაჩნდება, ეს კარგი არ იქნება.

რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დაძაბვა საქართველოზეც აისახება

რას პროგნოზირებს ამერიკული დაზვერვა?

მარიამ მჭედლიშვილი

მთიანი ყარაბაღის შემდეგ კავკასიის რეგიონში შექმნილი რეალობა შეირყა. ამის მიზეზია რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დაძაბვა.

ანკარამ ღია პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინას. უკრაინა იყენებს თურქულ უპილოტო საფრენ აპარატებს. შეგახსენებთ, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის უკიდურესი დაძაბულობაა. არ არის გამორიცხული ფართომასშტაბიანი ომი. უკრაინას თურქეთის გარდა, მხარდაჭერა გამოუცხადეს აშშ-მ, ნატომ და ევროპამ. კიევისადმი სოლიდარობა გამოხატა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ზალკალიანმა. უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო საქართველოს პარლამენტის საგარეო კომიტეტმა.

რუსეთმა თურქეთი რამდენჯერმე გააკრიტიკა. შეწყდა ავიამიმოსვლა თურქეთთან. თურქეთში ჩასული რუსი ტურისტები ვერ ბრუნდებიან სამშობლოში. ფრენების შეწყვეტის ოფიციალურ მიზეზად კოვიდ-19-ის ახალი ტალღა სახელდება. სინამდვილეში მიზეზი პოლიტიკურია.

აქამდე რუსეთი და თურქეთი ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად პარტნიორობდნენ. თუმცა, ანკარას არასდროს უცნია ანექსირებული ყირიმი რუსეთის შემადგენელ ნაწილად.

2020 წლის ბოლოს აზერბაიჯან-სომხეთის ომი და ბაქოს დაბრუნება ყარაბაღში დასრულდა რუსეთის კონტინგენტის შეყვანით ამ ტერიტორიაზე. ამასთან, მოსკოვს მოუხდა შეგუება თურქეთის სამხედროებთან აზერბაიჯანში.

ამ დროიდან დასავლეთი ცდილობს შეასუსტოს რუსეთის დომინანტობა კავკასიაში.

ანკარასა და მოსკოვს შორის კონფლიქტი ძირს უთხრის ახალი ალიანსის პერსპექტივებს. ამ ალიანსში მოიაზრებიან რუსეთი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. საქართველოს „ექვსთა კავშირის“ მიმართ ინტერესი არ გამოუჩენია, ზეწოლა კი იყო.

რუსი ექსპერტები იმედოვნებდნენ სამთა კავშირის ჩამოყალიბებასაც. იყო მოლოდინი, რომ დასავლეთს რუსეთ-თურქეთ-ირანის სამეულიც კარგად დაუპირისპირდება, თუ ირანი და თურქეთი შევლენ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში.

თურქი ექსპერტები ფიქრობენ, რომ უკრაინა-რუსეთის დაპირისპირებიდან თურქეთს შეუძლია სარგებელი ნახოს.

მათი აზრით, ომი სინამდვილეში არც რუსეთს და არც უკრაინას არ უნდათ, ხეირის ნახვა კი ამ დაძაბულობიდან შესაძლებელია.

ანკარა და მოსკოვი დროდადრო ერთმანეთს უახლოვდებიან. ამასთან, ორივე მხარემ იცის ისტორიული წარსული და გეოპოლიტიკური ბალანსი. ძლიერი რუსეთი, რომელთანაც თურქეთს აზრთა სხვადასხვაობა აქვს სირიისა და ლიბიის საკითხებზე, წარმოადგენს საფრთხეს თურქეთისათვის. კონფლიქტი უკრაინაში დააუძლურებს რუსეთს, მოწყვეტს მას სხვა რეგიონებიდან.

ავტორები იმასაც ასკვნიან, რომ დონბასში მოხდება თურქული საფრენი აპარატების რეკლამირება. რუსეთში ეჭვობენ, რომ თურქული უპილოტო საფრენი აპარატების რაოდენობა ძალიან დიდია.

თურქი ექსპერტების თქმით, აშშ-ს, თურქეთის, ნატოს, ევროკავშირის მხარდაჭერით ამაღლდა უკრაინის პრეზიდენტის, ზელენსკის დაქვეითებული რეიტინგი.

თუ რუსეთი და თურქეთი არ იქნებიან მოკავშირეები, ეს, წესით, კარგი უნდა იყოს საქართველოსთვის, რომლის რეგიონები ოკუპირებული აქვს კრემლს. ამასთან, მოსალოდნელია ამ ქვეყნების ინტერესების შეჯახება სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის, საქართველოში.

ახალი ინფორმაციით, უკრაინას ნატოში ჯერ არ მიიღებენ, თუმცა მოკავშირის სტატუსს და დახმარებას გაუფართოებენ. არ არის გამორიცხული, ახალი სტატუსი საქართველოსაც მისცენ.

სიტუაცია რთულია მსოფლიოში. აშშ-ის დაზვერვის პროგნოზით, მომავალში კოვიდ-19-ის და მისი შედეგების გავლენით შესუსტდება საერთაშორისო თანამეგობრობა, აღორძინდება ნაციონალიზმი, ღია საზოგადოებებში თავს იჩენს პოლარიზაცია, ავტორიტარული რეჟიმები განახორციელებენ რეპრესიებს თავისი დისიდენტების მიმართ. მოსალოდნელია კონკურენციის ზრდა დასავლეთის ქვეყნებსა და ჩინეთს შორის, დაპირისპირება ნატოსა და რუსეთს შორის.

დაძაბულ ფონზე რუსეთი აშშ-ის კიდევ ერთხელ ახსენებს საქართველოში მოქმედ ლუგარის ლაბორატორიას. ის სდებს ბრალს ბიოლოგიური სამხედრო ლაბორატორიების შექმნაში.

კრემლის მტკიცებით, ამგვარი ლაბორატორიები შექმნილია უკრაინაში, მოლდოვაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყირგიზეთში, უზბეკეთსა და ყაზახეთში, წამყვანი ეშელონი კი საქართველოში არსებული ლუგარის ლაბორატორიაა.

რეგიონში შექმნილი ურთულესი მდგომარეობა აისახება პროცესებზე საქართველოში. მოსალოდნელია შიდაპოლიტიკური კონფლიქტები, რომლებიც ხშირად გარედან იმართება.

თუ მესამე ტალღა ვერ ავიცილეთ, ყველაზე დიდი გამოწვევის წინაშე კლინიკური სექტორი დადგება

– ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, ჩვენზე ბევრად მკაცრი ლოკდაუნია.

ამის შესახებ თბილისის ინფექციური საავადმყოფოს გენერალურმა დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

– როგორც ქვეყნის ხელმძღვანელობა, ისევე ჯანდაცვის სექტორი მაქსიმალურად მზადაა. გაცნობიერებული გვაქვს, რომ თუ მესამე ტალღა ვერ ავიცილეთ თავიდან, ყველაზე დიდი გამოწვევის წინაშე დადგება კლინიკური სექტორი, ბუნებრივია, გადაივსება.

თუ როგორ გაართმევს კლინიკური სექტორი თავს ამ გადატვირთვას, დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შეიზღუდება, თუ გახსნილი დარჩება ეკონომიკა, რამდენად ნორმალური დარჩება ადამიანების ცხოვრება. კლინიკურ სექტორზე ძალიან ბევრია დამოკიდებული.

ყველაფერი კეთდება, რომ მზად იყოს. ძალიან დიდი გამოცდილება მივიღეთ ნოემბერ-დეკემბერში, მაშინ გავუმკლავდით, მართალია, ხარვეზებით, დაბრკოლებებით, სიძნელეებით, მაგრამ ხომ გავუმკლავდით მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ტალღას?! ხომ არ მომხდარა სიკვდილობის დრამატული ზრდა, არავინ დარჩენილა ბინაზე, განსხვავებით ევროპის და ამერიკის ქვეყნებისგან, არავინ დარჩენილა უუანგბადოდ.

მინდა მივმართო მოსახლეობის იმ მცირე ნაწილს, რომლებიც საქმეში ჩაუხედაობის გამო, ან შეგნებულად, იმისთვის, რომ უნდობლობა დათესონ მოსახლეობაში, ექიმების, ჯანდაცვის სექტორის, ხელმძღვანელობის მიმართ, „აი ჩვენთან არის ეს ყველაფერი ცუდად, ჩვენთან არ ზრუნავენ ხალხზე და უცხოეთში შეზღუდვები და ლოკდაუნები არ არის“. რა ლოკდაუნები არ არის?! გადახედეთ, რომ მიხვალთ სახლში, ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, ჩვენზე ბევრად მკაცრი ლოკდაუნია.

გუშინ „ფეისბუქზე“ ერთი ჯგუფი წერდა – „ნახეთ, ჩეხეთის მთავრობამ მოხსნა ლოკდაუნი. აი ასეთი მთავრობა უნდა, რომელიც თავის ხალხზე ზრუნავს, აბა ჩვენი მთავრობა ამას ხომ არ გააკეთებს?!“ სინდისიც კარგი საქონელია! რა ჩეხეთზეა საუბარი?! მათ სანახევროდ მოხსნეს. ჩეხეთი რჩება ერთ-ერთ ყველაზე მაღალი შეზღუდვების ქვეყნად, უმკაცრესი ლოკდაუნი იყო, რომელიც ჩვენთან არ იყო, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

დავით კოდუამ ცოლს სახეში მუშტი დაარტყა, მერე კი ქალიშვილს სცემა

ბიზნესმენს პატიმრობა შეეფარდა

გუშინ, 14 აპრილს, ოჯახში ძალადობის ფაქტზე დაკავებული ბიზნესმენის, დავით კოდუასთვის აღკვეთის ღონისძიების გამოსატანად სასამართლო გაიმართა.

საქმის პროკურორ თამარ ყულჯანიშვილის განცხადებით, კოდუამ ცოლს, ნათია გედევანიშვილს, სახის არეში მუშტი რამდენჯერმე დაარტყა. ამასთან, პროკურორის თქმით, ბრალდებულმა ფიზიკურად შვილზე, ეკატერინე კოდუაზეც იძალადა, კერძოდ, როცა შვილი დედის დაცვას შეეცადა, კოდუამ მასაც სახეში მუშტი დაარტყა.

პროკურორის თქმით, ბრალდებულმა ხელების და ფეხის გამოყენებით იძალადა მეუღლეზე, სახეში მუშტი დაარტყა, შემდეგ კი ფეხი დაარტყა ფეხის არეში და ეს დაზიანებები აშკარად ეტყობოდა მეუღლეს. ყულჯანიშვილის თქმითვე, კოდუამ ამის შემდეგ შვილზე გადაინაცვლა, რომელიც დედის დაცვას შეეცადა.

დავით კოდუას ადვოკატების განცხადებით კი, ფიზიკურ ძალადობას ბრალდებულის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

ადვოკატების თქმითვე, კონფლიქტი იმის გამო მოხდა, რომ კოდუა კომენდანტის საათის დროს სახლიდან მიდიოდა და მეუღლეს ეს არ უნდოდა.

დავით კოდუას განცხადებით, მას სურდა, მეუღლეს გარიდებოდა, თუმცა, კომენდანტის საათის გამო მას სახლიდან არ უშვებდნენ. კოდუას თქმით, ის ლიფტთან წაიქცა და შირმას დაეჯახა.

– მესამე სართულზე ავედი და ჩემთვის ვიჯექი, ვვახშმობდი და თვითონ ამოვიდა ემოციებით დატვირთული – „ამან თქვა, იმან თქვაო“, ავდექი, ლიფტთან დაიწყო – არ წახვიდე, სად მიდიხარო. ლიფტთან წავიქეცი და შირმას დავეჯახე, უხერხულიცაა ამაზე საუბარი. მაკავებდნენ, კომენდანტის საათი იყო და არ უნდოდათ წავსულიყავი, არ მინდოდა კონფლიქტი და გამოვედი.

4 შვილის მამა, შვილიშვილის ბაბუა ვარ, „იმან თქვა, ამან თქვაზე“ აწყობილი ქალი, ემოციებით დატვირთული ქალი იყო, ეჭვიანობის ნიადაგზე უაზრობაში აღმოვჩნდით, ვიფიქრე, გავარიდებ თავს, დამშვიდდება-მეთქი და წავედი. წასასვლელის მეტი რა მაქვს, 4 სახლი მაქვს თბილისში, წყნეთში, ოფისში ჩავედი, კომენდანტის საათი რადგან იყო, იქვე სახლთან ჩავედი, – განაცხადა კოდუამ.

საბოლოოდ, დავით კოდუას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ რომან ხორავამ გამოაცხადა.

– ვერ დამარწმუნეთ, რომ ფიზიკურ ძალადობას არ ჰქონია ადგილი. პოლიციელების, ექიმების ჩვენებები, დაზიანებები მაძლევს იმის საფუძველს, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, რომ ძალადობას ჰქონდა ადგილი, – განაცხადა მოსამართლემ.

საქართველოს პროკურატურამ ბიზნესმენ დავით კოდუას მეუღლის და შვილის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ბრალი წარუდგინა.

კოდუას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ, ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ) განესაზღვრა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნინუცა მაყაშვილი შსს-ში დაიბარეს

მსახიობი და ტელეწამყვანი ნინუცა მაყაშვილი შსს-ში დაიბარეს.

საქმე ეხება გადაცემა „ფარულ კონვერტში“ გასულ ინტერვიუს, სადაც მსახიობმა ყოფილი ქმრის, მსახიობ ბესო ზანგურის მხრიდან ძალადობაზე ისაუბრა.

გადაცემაში ნინუცა მაყაშვილმა აღნიშნა, რომ 11 წლის წინ ბესო ზანგური მასზე ფიზიკურად ძალადობდა, მათ შორის, ორსულობის დროს.

ნინუცა მაყაშვილი ჯერჯერობით საგამოძიებო უწყებაში მისვლას და ჩვენების მიცემას არ აპირებს. მსახიობი ამბობს, ეს ყველაფერი იმიტომ გაიხსენა, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მაგალითი მიეცა.

– ჩემი მიზანი სწორედ ის იყო, რომ ეს სიტუაცია იმდენად დიდი დოზით არის, მაშინ 10 და 11 წლის წინ არ იყო ამხელა ცნობიერება. არ იყვნენ ქალები ასეთი ძლიერები. ყოველთვის იყო და ახლაც არის ისეთი ადამიანი, ვინც ქალს ადანაშაულებს და ძალიან სასაცილოა, როცა ამას ქალები აკეთებენ.

ზუსტად ვიცი, რას განიცდიან ისინი და რატომაც ვერ ან არ აკეთებენ, ამ ნაბიჯს არ დგამენ, იმიტომ, რომ მათ ეშინიათ მომავლის, მათ ეშინიათ იმის, რომ მათ გვერდით არავინ არ დაუდგებათ, მათ ეშინიათ იმის, რომ ზურგი არ ეყოლებათ და მე მინდოდა ვყოფილიყავი ყველა ამ ქალის მაგალითი, რომ ზურგი ყოველთვის არსებობს, – განაცხადა ნინუცა მაყაშვილმა.

პროკურატურამ გოგონას მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტზე დედას ბრალი წარუდგინა

14 წელს მიუღწეველი გოგონას მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტზე, დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დედას ბრალდება წარედგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

„14 წელს მიუღწეველ გოგონას მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, საქართველოს პროკურატურამ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე არასრულწლოვნის დედას ე.ს.-ს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლიდან 2020 წლამდე ზ.მ. იყენებდა მისთვის წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველი გოგონას ასაკით გამოწვეულ უმწეობას და ძალადობის გამოყენებით, სისტემატურად აუპატიურებდა მას.

ზ.მ.-ს ქმედების შედეგად არასრულწლოვანი დაორსულდა და 2020 წლის 21 ივნისს ბავშვი გააჩინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ე.ს.-სთვის ცნობილი გახდა ზ.მ.-ს მიერ მისი შვილის გაუპატიურების ფაქტი, თუმცა ამის შესახებ სამართალდამცავ ორგანოს არ შეატყობინა.

ე.ს.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით (დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდების მხარე ე.ს.-სთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

საქართველოს პროკურატურა არასრულწლოვანი დაზარალებულის კანონიერი ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა საჭირო ღონისძიებას ახორციელებს, პროცესში ჩართულ შესაბამის უწყებებთან ერთად“– ნათქვამია ინფორმაციაში.

სენაკში ხანძარს 1 მამაკაცი ემსხვერპლა

სენაკის მუნიციპალიტეტში 1 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძარს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში „ლაივპრესს“ განუცხადეს, რომ ადგილზე ოპერატიულად მივიდნენ სახანძრო-სამაშველო ჯგუფები, თუმცა მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ.

შემთხვევის ადგილზე ოთხი სახანძრო ჯგუფი მუშაობდა. ხანძარი ლიკვიდირებულია.

ფრანგული კომპანიის თანხების მითვისებისთვის 2 პირს პატიმრობა შეეფარდა

პროკურატურამ საფრანგეთში რეგისტრირებული კომპანიის დიდი ოდენობით ფულადი თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტი გამოავლინა.

„საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაული გამოავლინა. საქმე ეხება საფრანგეთში რეგისტრირებული კომპანიის დიდი ოდენობით ფულადი თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტს, რის შედეგადაც ორი პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, ამერიკული ავიაკომპანიის წარმომადგენლის სახელით, ცრუ შეტყობინება და ყალბი ინვოისი გაუგზავნეს ფრანგულ კომპანიას და გასაწევი მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი 450. 000 აშშ დოლარი, მოტყუებით გადმოარიცხინეს გ.ჯ-ს მიერ დაფუძნებული საწარმოს ანგარიშზე საქართველოში.

თაღლითურად დაუფლებული თანხის ნაწილი – 30.000 აშშ დოლარი, ნ.ხ.-მ და გ.ჯ.-მ გაიტანეს საწარმოს საბანკო ანგარიშიდან, რაც, წინასწარ შეთანხმებული პროცენტულობის შესაბამისად, ჯგუფის წევრებს შორის განაწილდა.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის ნაწილი – 420.000 აშშ დოლარი, რომელსაც გამოძიების მსვლელობისას დაედო ყადაღა, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ დაზარალებულ კომპანიას დაუბრუნდება.

ნ.ხ.-ს და გ.ჯ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ“ – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

ხობში 79 წლის ბაბუამ 23 წლის შვილიშვილი დაჭრა

დააკავეს დ.მ.

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში 23 წლის მამაკაცი დაჭრეს. არსებული ინფორმაციით, მას ჭრილობა გულ-მკერდის არეში ბაბუამ მიაყენა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაჭრილი მამაკაცი ხობის საავადმყოფოში გადაიყვანა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს, დაკავებულია 1942 წელს დაბადებული დ.მ. მას დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა ედება ბრალად.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 14 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტში, ოჯახური კონფლიქტის დროს, შვილიშვილს – 1997 წელს დაბადებულ მ.გ.-ს ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში დაზიანებები მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი გადაყვანილია კლინიკაში, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დ.მ. დანაშაულის ჩადენიდან მალევე ხობის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ვალე“, არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტი აღიკვეთა.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრებმა ეჭვის საფუძველზე ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის გ.ს.-ს ავტომანქანის დათვალიერების შედეგად, 2140 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

„საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს ჩამოერთვა საქონელი და სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ათასი ლარის ოდენობით შეეფარდა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.259 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.259 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 95 ფიზიკური და 1 იურიდიული პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1 053 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 110 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

თელავში მანქანა მაღაზიას დაეჯახა

1 მამაკაცი დაიღუპა

13 აპრილს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თელავში.

ავარიას 1 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

თვითმხილველების ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ახლოს მდებარე მაღაზიას შეეჯახა.

ადგილზე ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა.

ავარიის მიზეზად, წინასწარი ინფორმაციით, გადაჭარბებული სიჩქარე სახელდება. მომხდარზე გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით დაიწყო.

ფაშინიანი: „ყარაბაღის ომში 3.621 სომეხი სამხედრო დაიღუპა“

ყარაბაღის ომში 3.621 სომეხი სამხედრო დაიღუპა, 321 პირი კი დაკარგულად ითვლება.

ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა გუშინ, 14 აპრილს, პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ამ ეტაპზე ჩვენ გვყავს 3.621 გარდაცვლილი, ვისი სახელებიც ვიცით. ასევე გვყავს 321 ადამიანი დაკარგულთა სიაში. 201 ცხედარი, რომელთა იდენტიფიცირება ამჟამად მიმდინარეობს. ამასთან, იდენტიფიცირებულია კიდევ 100 ცხედარი, თუმცა ამა თუ იმ მიზეზის გამო, მათი ოჯახები ექსპერტიზის დასკვნას არ ენდობიან. დაღუპულთა საერთო რაოდენობა დაახლოებით არის 4000, – აღნიშნა ფაშინიანმა.

ყარაბაღში აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საბრძოლო მოქმედებები გასული წლის 27 სექტემბერს დაიწყო, რასაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ცეცხლი 10 ნოემბრიდან მას შემდეგ შეწყდა, რაც 9 ნოემბერს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

სტოლტენბერგი: „რუსეთს თავისი გავლენის სფეროს აღდგენა სურს“

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კულებამ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის კურსი ნატოსაკენ შეუქცევადია. ამ სიტყვებს კრემლის აგრესიული რეაქცია მოჰყვა:

– უკრაინის გაწევრიანება ნატოში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ამ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე პესკოვმა.

პესკოვის განცხადებას გამოეხმაურა ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგი. მან თქვა, რომ რუსეთს სურს აღადგინოს თავისი გავლენის ზონა, სადაც კრემლი წყვეტდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მისი ვასალები. არსებობდა მთელი სისტემა, რომელიც მოსკოვის ჰეგემონიას უზრუნველყოფდა

– ჩვენ ამ სისტემის საბოლოო დემონტაჟი გვსურს! – განაცხადა სტოლტენბერგმა.

გერმანია ავღანეთიდან ჯარს აშშ-სთან ერთად გაიყვანს

გერმანია ავღანეთიდან ჯარისკაცებს აშშ-სთან ერთად გაიყვანს.

ამის შესახებ ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ანეგრეტ კრამპ-კარენბაუერმა განაცხადა.

– ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ერთად მივდიოთ და ერთად გამოვდივართ. მე მხარს ვუჭერ ჯარის მოწესრიგებულ გაყვანას. ეს ასევე ნიშნავს, რომ გერმანია, როგორც ნატოს ნაწილი, გაყვანის საკუთარ გეგმებს შეერთებული შტატების გეგმებს დაამთხვევს, – აღნიშნა გერმანიის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა.

გერმანიას ავღანეთში დაახლოებით 1.000 ჯარისკაცი ჰყავს განლაგებული. აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ავღანეთში დარჩენილი 2.500 ამერიკელი სამხედროს ქვეყნიდან გაყვანას 2021 წლის 11 სექტემბრამდე გეგმავს.

ევროკავშირის ქვეყნები კოვიდპასპორტების შემოღებაზე შეთანხმდნენ

ევროკავშირის ქვეყნები ოფიციალურად შეთანხმდნენ, რომ სამგზავრო კოვიდპასპორტები შემოიღონ და ამ გზით ხელი შეუწყონ ტურიზმის ხელახალ გახსნას.

სერთიფიკატები საშუალებას მისცემს ვაქცინირებულ მოქალაქეებს, კოვიდ-19-ისგან გამოჯანმრთელებულებს ან მათ, ვისაც კოვიდტესტის უარყოფითი პასუხი ექნებათ, ევროკავშირის ქვეყნებში უფრო მარტივად იმოგზაურონ.

წევრ სახელმწიფოთა შეთანხმება მოიცავს დებულებებს იმ ადამიანების დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომლებიც ვაქცინირებულები არ არიან, ან ვაქცინაცია არ სურთ.

წინადადებას ევროპარლამენტიც უნდა დეთანხმოს.

ამ საკითხის დეტალებზე საბოლოო მოლაპარაკებების დაწყება მაისში იგეგმება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მახინჯმა ჰალსტუხმა პოლიციას ბანკის მძარცველის პოვნაში ხელი შეუშალა

მახინჯმა ჰალსტუხმა პოლიციას დამნაშავის პოვნაში, რომელმაც გერმანიის ქალაქ ბად-ზოდენ-ზალმიუნსტერში ბანკი გაძარცვა, ხელი შეუშალა.

აღნიშნული ინციდენტი ორშაბათს 6 აპრილს მოხდა. მძარცველი ბანკში შეიჭრა, მოლარეს პისტოლეტით დაემუქრა, ფული გაიტაცა და მიიმალა. რა ოდენობის თანხის წაღება მოახერხა ბოროტმოქმედმა, უცნობია.

როდესაც პოლიციელებმა თვითმხილველების გამოკითხვა დაიწყეს, ვერავინ მოახერხა ბოროტმოქმედის სახის აღწერა. ყველას ყურადღება მისმა 1980-იანი წლების სტილის ყვავილებიანმა ჰალსტუხმა გაუფანტა. მის გარდა, მათ მხოლოდ მისი პისტოლეტი და დამნაშავის სავარაუდო ასაკი, 20 წლის, დაამახსოვრდათ.

პოლიციამ დააკავა თაღლითები, რომლებიც მაიმუნებს ქურდობას ასწავლიდნენ

ნიუ-დელიში პოლიციამ ორი მამაკაცი დააკავა, რომლებიც მაიმუნებს გამვლელებისთვის ნივთების მოპარვას ასწავლიდნენ. თაღლითებზე განცხადება პოლიციაში ადვოკატმა შეიტანა, რომელიც ქუჩაში გაქურდეს.

აღსანიშნავია, რომ იურისტი რიკშათი რამდენიმე ადამიანთან ერთად მგზავრობდა და შენიშნა, რომ ცხოველმა მას ჯიბიდან ექვსი ათასი რუპია ამოაცალა, რის შემდეგაც მამაკაცები მაიმუნთან ერთად გაიქცნენ.

სამართალდამცავებმა ორი მათგანის ავტობუსის გაჩერებაზე დაკავება მოახერხეს. მესამე მიმალვა მოახერხა. ამის შემდეგ მაიმუნები ცხოველთა გადარჩენის ცენტრში გადაიყვანეს.

ოთხი კასატკა იახტას თავს დაესხა და საჭე დაუზიანა

ჰიბრალტარის სრუტეში კასატკები, რომლებიც ასევე მკვლელი-ვეშაპის სახელით არიან ცნობილები, თავს დაესხნენ იტალიურ იახტა სერენა IV-ს, რომელიც კანარის კუნძულებისკენ მიემართებოდა და მას საჭე დაუზიანეს.

ინციდენტი ღამით მოხდა, როდესაც იახტა სპარტელის კონცხთან იმყოფებოდა, რომელიც მაროკოს ქალაქ ტანჟერიდან დაახლოებით 10 კილომეტრში მდებარეობს. კაპიტანი ანტონიო ბუსე ამტკიცებს, რომ უცნაური ხმაური შემოესმა და გემბანზე ავიდა. მან იფიქრა, რომ ხომალდი კონტეინერს დაეჯახა, მაგრამ ხმაურის მიზეზი სულ სხვა აღმოჩნდა. იახტას დარტყმები აზანზარებდა, რომელსაც მას ოთხი კასატკა აყენებდა.

ეკიპაჟის წევრები შეეცადნენ უზარმაზარი ცხოველები გაეყარათ. ისინი ყვიროდნენ და მათ სხვადასხვა საგნებს ესროდნენ, კაპიტანი ხომალდის გვერდს ჯოხს უბრახუნებდა, მაგრამ კასატკები ამ ყოველივეს ყურადღებას არ აქცევდნენ და იახტის გარშემო ტრიალებდნენ მანამდე, სანამ ერთ-ერთმა მეზღვაურმა სასიგნალო მაშხალა არ აანთო. მხოლოდ ამის შემდეგ დაანებეს თავი ზღვის ცხოველებმა ხომალდს და გაეცალნენ.

ამ თავდასხმის შედეგად იახტის საჭე დაზიანდა. ამის მიუხედავად, სერენა IV-მა მაინც მოახერხა ესპანეთის პორტ ტარიფამდე მიღწევა.

300 მეტრის სიმაღლიდან გადავარდნილი მამაკაცი ცოცხალი გადარჩა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატში მამაკაცი 300 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა და ცოცხალი გადარჩა.

აღნიშნული ინციდენტი კვირას, 4 აპრილს მოხდა. პოლიციის მონაცემებით, ამერიკელი, რომლის ვინაობა არ სახელდება, მზის ამოსვლამდე ორი საათი სეირნობდა მთებში, შემდეგ კი ფეხი დაუცდა და უფსკრულში გადაიჩეხა. შემთხვევის ადგილზე სპეციალისტების ჯგუფი მივიდა. სამაშველო ოპერაცია ექვსი საათი გრძელდებოდა.

ვარდნის შედეგად ტურისტმა უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო და დაუხმარებლად მოახერხა ფეხზე წამოდგომა. როგორ მდგომარეობაშია ამ დროისთვის მამაკაცი, უცნობია.

კანადური ჭიაყელები ქვიშიდან გამოძვრნენ და ორგია გამართეს

კანადის კუნძულ ვანკუვერში ქვიშიდან გველის ზომის ჭიაყელები გამოძვრნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

30 სანტიმეტრის უხერხემლოთა თავმოყრის ფაქტს კუნძულის ერთ-ერთი მცხოვრები შეესწრო, ეს შემთხვევა ვიდეოზე გადაიღო და შემდეგ ვიდეორგოლი ფეისბუქზე გამოაქვეყნა.

– ისინი 20-მდე იქნებოდნენ, – დაწერა მამაკაცმა ვიდეოს კომენტარში, – სინათლემ მიიზიდა და მის გარშემო დაცურავდნენ. ვინმეს შეუძლია თქვას, თუ რა არსებები არიან?

ზღვის ბიოლოგმა ვიქტორიას უნივერსიტეტიდან ლუიზა პეიჯმა განმარტა, რომ მამაკაცი ზღვის ჭიაყელებს გადააწყდა. მისი თქმით, ისინი დროის უმეტეს ნაწილს ქვიშაში ატარებენ და წელიწადში მხოლოდ ერთხელ ამოდიან ზედაპირზე გასამრავლებლად.

– ისინი ყველანი ზევით მიცურავენ, მამრებიც და მდედრებიც, რათა შემდეგ დიდი ორგია გამართონ, – განმარტა ბიოლოგმა.

გამოქვაბულში გაჭედილი ბუდისტი ბერი დაღუპვას გადაარჩინეს

ტაილანდის პროვინცია პხიტსანულოკში მაშველებმა გადაარჩინეს ბუდისტი ბერი, რომელიც მედიტაციისთვის გამოქვაბულში განმარტოვდა და რამდენიმე დღე დატბორილ გამოქვაბულში გაატარა.

46 წლის მომლოცველი ბერი ფრა აჯარნ მანასი, რომელიც სხვა პროვინციიდან იყო ჩამოსული, გამოქვაბულ პრა ნგამში მედიტაციისთვის შევიდა.

მალე პროვინციას კოკისპირული წვიმა დაატყდა თავს, რომელიც ოთხი დღე გაგრძელდა. ამის შედეგად იმ გამოქვაბულის ნაწილი დაიტბორა, სადაც ბუდისტი ბერი იმყოფებოდა და მან იქიდან თავის დაღწევა ვეღარ შეძლო. რომ არა ადგილობრივი ბერები, ის შესაძლოა დაღუპულიყო.

ადგილობრივებმა მაშველებს შეატყობინეს, რომ გამოქვაბულში მომლოცველი იყო გამოკეტილი. მაშველებმა შიგნით შეაღწიეს და მანასის ძებნას შეუდგნენ, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ისინი იძულებულნი გახდნენ სამძებრო სამუშაოები შეეწყვიტათ, ვინაიდან გამოქვაბულში წყლის დონე მატულობდა.

ოთხშაბათს, ადგილობრივი დროით 11:30 საათზე მაშველებმა მოახერხეს ბუდისტ ბერამდე მიღწევა. მათ შემდეგ ფეისბუქში გამოაქვეყნეს ფოტოსურათი, რომელზეც ჩანს გამოქვაბულში მჯდომი ბერი, რომელსაც წნევას უზომავენ.

ბერის გადარჩენის ოპერაციაში 17 მაშველი მონაწილეობდა.

პითონმა სახლში შეაღწია და კატა გადაყლაპა

ტაილანდის პატხუმტხანის პროვინციაში 3,6 მეტრი სიგრძის პითონი საცხოვრებელ სახლში შეძვრა და შინაური კატა გადაყლაპა.

გველი სახლში კატის პატრონმა 11 წლის დარუნდა ნატაიავატინმა აღმოაჩინა. გოგონას ყვირილზე დედამისმა მიირბინა და ექსტრემალური სამსახური გამოიძახა. ადგილზე მისულმა სპეციალისტებმა დაადასტურეს, რომ კატა ქვეწარმავლის ნადავლად იქცა.

– ძალიან სამწუხაროა! – შენიშნა გოგონას დედამ, – ჩემი შვილი თავის საყვარელ კატას სახლშიც ეძებდა და ეზოშიც, შემდეგ კი მისი კივილის ხმა გავიგონე. როდესაც გავიგე რაშიც იყო საქმე, მეც ავკივლდი.

ქალის მეუღლე ვარაუდობს, რომ პითონმა სახლში სახურავში არსებული ხვრელიდან შეაღწია. პითონი გველებზე მონადირეებმა დაიჭირეს და შემდეგ ის შემთხვევის ადგილიდან 160 კილომეტრის დაშორებით ბუნებაში გაუშვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თამთა ინაშვილი ბესო ზანგურთან ერთად თამაშზე უარს ამბობს

მსახიობი თამთა ინაშვილი პროტესტის ნიშნად უარს ამბობს ბესო ზანგურთან ერთად სპექტაკლში თამაშზე და ნინუცა მაყაშვილს სოლიდარობას უცხადებს:

– სოლიდარობა ჩემს ერთგულ, ნამდვილ, მართალ მეგობარს ნინუცა მაყაშვილს. მე შენს გვერდით ვარ! ვიღაც-ვიღაცები ცდილობენ მისი სიმართლის უგულებელყოფას. „სადღაც ცისარტყელას მიღმა“ – არსებობს ასეთი სპექტაკლი, სადაც ერთმანეთს პარტნიორობას ვუწევთ მე და ბესო ზანგური. პროტესტის ნიშნად მე აღარ ვაპირებ მასთან ერთად სცენაზე დგომას!

თამთას გადაწყვეტილებას ბესო ზანგური გამოეხმაურა:

– ვინ არის თუთა ინაშვილი, რომ მე მიკრძალავს და ამბობს არ აპირებს ჩემთან თამაშს? რა გააკეთა? რა ამბიციებია? ფემინისტთა სახლში ხომ არ ერევა ეს ღირსეული სასახლე ან იმ ბოტების შემოსევაში, გუშინ რომ რუსთაველის გვერდს შეესიენ? ამხელა კაცს, რობერტ სტურუას, როგორ და რა ენით ესაუბრებიან მაყაშვილის კლასტერი, შედით სტურუას გვერდზე და მიხვდებით, რატომ დამარტყეს მე და სინამდვილეში ვის ურტყამდნენ!

ახლა კინაღამ დამავიწყდა სა„ლ„ამი (თუთა) თამუნა,?ერთ-ერთ სპექტაკლში მახსოვხარ მხოლოდ, სადაც მთავარ როლს ვასრულებ და შენ შემოდიხარ და გადიხარ. კარგად აკეთებ ამას, სულ მავიწყდები შიგადაშიგ, მსახიობი თუთა ერთხელ არ მოვიდა სპექტაკლზე, ეგონა ჩააგდებდა და დაარტყამდა რუსთაველის თეატრს ნაციონალური მოძრაობის აქციის გამო. მსახიობი რომ სპექტაკლის ჩაგდებას ეცდები და სამაგალითოდ არ გაგისვრიან, ეს ცალკე სტურუას ლოიალური დემოკრატიაა! იმედია მალე შეცვლის ამ დამოკიდებულებას, სხვათა შორის, სპექტაკლი არ ჩავშალეთ. ისე ვითამაშეთ, არც დაემჩნია მისი ყოფნა-არყოფნა არც სპექტაკლს და თეატრს, მით უმეტეს. და ხალხს ნუ ატყუებთ, ეგ ერთადერთი სპექტაკლი, სადაც შემოდიხარ და გადიხარ – მოხსნილია. ასე რომ, დამშვიდდი.

სოფო ბედია გაანაწყენეს

მომღერალი სოფო ბედია გაანაწყენეს. როგორც თავად ამბობს, 15 ჯანმრთელ ადამიანს შეკრება და გართობა არ შეარგეს.

საუბარია კომპოზიტორ ცირა ბზიშვილის დაბადების დღეზე, სადაც ცნობილი სახეები შეიკრიბნენ და კარგადაც გაერთნენ. დაბადების დღის ამსახველი ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა და საზოგადოების გაღიზიანებაც გამოიწვია.

სოფო ბედია მეუღლით, თემურ თათარაშვილი, გია ჯაჯანიძე, ტატო გოდერძიშვილი, მაკა რაზმაძე – ეს იმ სტუმრების არასრული სიაა, რომლებიც ცირა ბზიშვილის დაბადების დღეზე იმყოფებოდნენ. საზოგადოებამ ისინი პანდემიის დროს რეგულაციების დარღვევისთვის გააკრიტიკა, რამაც სოფო ბედიას გაღიზიანება გამოიწვია:

– 15 ჯანმრთელი ადამიანი შევიკრიბეთ და ბოდიში თუ ვიმღერეთ და ვიცეკვეთ. ჩვენი გართობა გახდა სალაპარაკო.

„მასტერშეფის“ 12 რჩეული კონკურსანტი ცნობილია

კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მეხუთე სეზონით და ახალი მონაწილეებით დაბრუნდა.

შოუს ჟიურიმ ლუკა ნაჭყებიას, ლევან კობიაშვილისა და კონსტანტინე თედელურის შემადგენლობით მსურველთა შორის საუკეთესო 12 მონაწილე დაასახელა.

„მასტერშეფის“ მეხუთე სეზონის გამარჯვებისთვის იბრძოლებენ ნინო მჭედლიშვილი, თამაზ დავარაშვილი, თუთა ოქროპირიძე, ნინო ვარშანიძე, ეკატერინე გაგუა, სალომე სიჭინავა, ლიკა გულუა, იოსი კაკიაშვილი, მაკა ნიკვაშვილი, ბექა ქოსაშვილი, მარკ ციმნენკო და დიმიტრი შარაშიძე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პსჟ და ჩელსი ნახევარფინალში მეტოქეებს ელოდებიან

პსჟ-ბაიერნი 0:1

0:1 ჩუპო-მოტინგი (40)

პსჟ: ნავასი, დაგბა, დანილო, კემპემბე, დიალო (ბაკერი 58), გეიე, პარედესი, დი მარია (ერერა 88), ნეიმარი, დრაქსლერი (კინი 73), მბაპე

ბაიერნი: ნოიერი, პავარი, ბოატენგი, ერნანდესი, დევისი (მუსიალა 71), კიმიხი, ალაბა, სანე, მიულერი, კომანი, ჩუპო-მოტინგი (მარტინესი 84)

თუ ამ გუნდების პირველი მატჩი (3:2 პსჟ-ს სასარგებლოდ) შემტევი ფეხბურთის ნიმუში იყო, საპასუხო შეხვედრაში მაყურებელს სანახაობა ნამდვილად დააკლდა. ვერც იმას ვიტყვით, რომ მოსაწყენი იყო, მაგრამ აშკარად მეტს ველოდით.

ბაიერნს 2 ბურთის სხვაობით მაინც უნდა მოეგო, რომ შემდეგ ეტაპზე გასულიყო. პირველ ტაიმში საქმე სანახევროდ გააკეთა, მაგრამ მეტის მიღწევა ვერ შეძლო.

ბავარიელები ბურთს უფრო მეტხანს ფლობდნენ, თითქოს მეტსაც უტევდნენ, მაგრამ დამამთავრებელ ფაზაში არაფერი გამოსდიოდათ. ახლა კი ნამდვილად დაეტყო გუნდს რობერტ ლევანდოვსკის არყოფნა.

პსჟ კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას. მარტო პირველ ტაიმში ნეიმარმა ორჯერ გაარტყა ბურთი კარის ჩარჩოს. გოლი მაინც ბაიერნმა გაიტანა და შესვენებაზე ისე გავიდნენ.

მეორე ტაიმი უფრო მოსაწყენი იყო და ეს პარიზელთა დამსახურებაა. მაურისიო პოჩეტინოს გუნდი ცდილობდა შეცდომა არ დაეშვა და თითქმის ბოლომდე მიყვანილი საქმე საკუთარ კედლებში არ დაესრულებინა.

ბოლოს ბაიერნი უფრო გაიხსნა, რადგან გოლი აუცილებლად სჭირდებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით, ნახევარფინალში პსჟ გავიდა, სადაც სიტი-დორტმუნდში გამარჯვებულს შეხვდება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კეილორ ნავასი

ცოტა რთული გასაკეთებელი არჩევანი იყო, რადგან რომელიმე მათგანს ისეთი არ გაუკეთებია, რომ სხვებს აღემატებოდეს. იგივე ნეიმარი, ჩუპო-მოტინგი ბევრს ცდილობდნენ. ჩვენ მაინც ნავასი გამოვარჩიეთ, რადგან საიმედოდ იდგა და ამასთან ერთი უნიკალური ფაქტი დააფიქსირა.

კოსტარიკელი მეკარე, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე 2014 წლიდან თამაშობს, ამ უპრესტიჟულესი ტურნირიდან არასდროს გამოვარდნილა. აქ საუბარია იმ მატჩების შესახებ, რომლებშიც კოსტარიკელი უშუალოდ მოედანზე იმყოფებოდა და არა – სათადარიგოთა სკამზე.

მაურისიო პოჩეტინო:

– ძალიან კონცენტრირებული ვიყავით და ეს მართლაც რთული თამაში იყო. ნამდვილად ბედნიერი ვარ და მინდა მივულოცო ფეხბურთელებს, რადგან ეს წარმატება მთლიანად მათი დამსახურებაა. ნახევარფინალში გასვლა ჩვენთვის საოცარი მომენტია. ბედნიერი ვარ ფეხბურთელების, სტაფის, კლუბის, პრეზიდენტისა და სპორტული დირექტორის, ლეონარდოს გამო. სასიამოვნოა ამ სასიხარულო მომენტის ერთად გაზიარება. როდესაც არ ვმუშაობდი, ეს ადრენალინი მენატრებოდა, რადგან ეს არის უდიდესი საკლუბო შეჯიბრი. ნორმალურია, რომ კიმიხისა და მიულერის მსგავს დიდ ფეხბურთელებს თავდაჯერება ჰქონდათ, მათ ყველაფერი მოიგეს, მაგრამ ფეხბურთი ლამაზი სპორტია, არასდროს უნდა დანებდე და ბოლომდე იბრძოლო. გარდა ამისა, ჩვენ ხარისხიანი გუნდიც გვყავს.

ჰანსი ფლიკი:

– პირველ მატჩში ბევრი საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ. თუმცა, რომ არა მესამე გაშვებული გოლი, მომდევნო ეტაპზე გავიდოდით. ყველამ ვნახეთ, რამდენად სახიფათონი არიან ისინი შეტევაში. მინდა ჩემს გუნდს ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო, მიუხედავად იმისა, რომ პსჟ ნახევარფინალში გავიდა. ჩვეულებრივ, ჩემს გუნდს მოედნის ბოლო მესამედში დიდი ხარისხი აქვს, მაგრამ დღეს ბოლო ფაზაში რაღაც გვაკლდა. უნდა შევეგუოთ მომხდარს იმის მიუხედავად, რომ სხვა შედეგი გვსურდა და ვულოცავ მეტოქეს.

ჩელსი-პორტუ 0:1

0:1 ტარემი (90)

ჩელსი: მენდი, ასპილიკუეტა, ტ.სილვა, რიუდიგერი, ჯეიმსი, ჟორჟინიო, კანტე, ჩილველი, მაუნტი (ზიეში 86), ჰავერცი (ჟირუ 90), პულიშიჩი

პორტუ: მარჩეზინი, მანაფა (ნანუ 75), მბემბა, პეპე, სანუსი, ს.ოლივეირა (ვიეირა 84), გრუიჩი (ტარემი 63), ურიბე, კორონა (დიასი 75), მარეგა (ევანილსონი 75), ოტავიო

ჩელსის საკმაოდ კომფორტული ანგარიშით (2:0) ჰქონდა „სტუმრად“ მოგებული და „საკუთარ მოედანზე“ სათამაშოდ იმიტომ გავიდა, რომ დრო მოეკლა. ლონდონელები არც თვითონ თამაშობდნენ და მეტოქესაც ხელს უშლიდნენ. თუმცა, დიდად არც პორტუ გამოირჩეოდა და ისეთი შეგრძნება იყო, სერიას უკვე წაგებული შეხვდა.

ნომინალურმა სტუმრებმა (პირველი მატჩის მსგავსად, ესეც ნეიტრალურ მოედანზე გაიმართა) გოლი კი გაიტანეს, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო – მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მეჰდი ტარემიმ მაკრატელათი საოცარი სილამაზის გოლი შეაგდო.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მეჰდი ტარემი

ნახევარ საათზე ნაკლები დასჭირდა ირანელ ფეხბურთელს, რომ მატჩის საუკეთესო გამხდარიყო. მატჩის ერთადერთი გოლიც მის ანგარიშზეა და ისეთი გოლი, რომელიც სეზონის საუკეთესოთა შორის აუცილებლად მოხვდება.

ტომას ტუხელი:

– მძიმე ბრძოლა იყო. შეიძლება საყურებლად საუკეთესო თამაში არ ყოფილა, მაგრამ ძალიან ინტენსიური თამაში გამოვიდა. რთული სტარტის შემდეგ გავაუმჯობესეთ, თავს კარგად ვიცავდით და კარგი საგოლე შანსებიც გვქონდა. მთლიანობაში 2 მატჩის გათვალისწინებით პორტუ დამსახურებულად დავამარცხეთ. ნახევარფინალში ვინ მირჩევნია მეტოქედ? ვერ გამოვარჩევ, მაგრამ ზოგადად, ჩემპიონთა ლიგაზე არ მიყვარს იმ გუნდთან თამაში, რომელიც ჩვენს ჩემპიონატშია. რეალისა და ლივერპულის თამაშს ვუყურებ, როგორც ნახევარფინალისტი და ეს სასიამოვნო იქნება. ყველაფერი შესაძლებელია, ლივერპული სახლში ძალიან ძლიერია.

სერჟიო კონსეისაუ:

– ვამაყობ ჩემი გუნდით. არაჩვეულებრივი მატჩი ჩავატარეთ და ბოლომდე ვიბრძოდით. უშანსოდ არ წაგვიგია. პირიქით, ძლიერ მეტოქეს, რომლის რიგებშიც არაერთი მაღალი დონის ფეხბურთელი თამაშობს, დღეს მომენტების შექმნის ბევრი შანსი არ მივეცით. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მატჩი იყო, რომელიც მიმდინარე სეზონში ევროპულ სარბიელზე ჩავატარეთ. ანგარიშის გახსნა უფრო ადრეც შეგვეძლო, ბოლოს კი მეორეს გასატანად დრო აღარ იყო. მადლობელი ვარ ჩემი ფეხბურთელების. მიზნის მიღწევამდე ცოტა დაგვაკლდა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე ჩვენ არავინ გველოდა, მაგრამ ვითამაშეთ და მეტიც შეგვეძლო. რომ არა პირველ მატჩში დაშვებული შეცდომები, არავინ იცის, ახლა ნახევარფინალში ვინ იქნებოდა.

საქართველოს თასზე მეოთხედფინალები დაიწყო

საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური სერიის პირველი მატჩები გაიმართა. ტურნირში დარჩენილი 8 გუნდი ოთხთა ფინალში გასასვლელად იბრძვის. მეოთხედფინალური სერიები ორმატჩიანია. შესაბამისად, პირველ მატჩში მოპოვებული უპირატესობა გუნდებს მეორე მატჩში მიჰყვება და 2 შეხვედრის ჯამში, რომელსაც უკეთესი შედეგი ექნება, ოთხთა ფინალში ის გუნდი გავა.

პირველ მატჩებში სოლიდური უპირატესობა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ნებისმიერ გუნდს გააჩნია, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ 4 მატჩიდან 3 სტუმრებმა მოიგეს.

ტიტები-ცხუმი 66:76

(12:20, 17:20, 24:18, 13:18)

პირველ შეხვედრაში ცხუმ-აფხაზეთმა 76:66 დაამარცხა ტიტები და ოთხთა ფინალისკენ საკმაოდ მოზრდილი ნაბიჯი გადადგა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდი სუპერლიგაშიც წარმატებით ასპარეზობს და თასის გათამაშებაში გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა.

ცხუმი თავიდანვე დაეუფლა ინიციატივას და პირველი ტაიმის შემდეგ 11 ქულას იგებდა. ტიტებმა მესამე მეოთხედში გაიბრძოლა და სხვაობა 5 ქულამდე დაიყვანა, მაგრამ მეტისთვის ძალა აღარ ეყო.

გამარჯვებულებს 15 ქულით ვასილ ბერუაშვილმა ულიდერა. 13 ქულა გიორგი შარაბიძის ანგარიშზე დაგროვდა. ტიტებში 16 ქულით ბრენდონ აუგბორნსი, ხოლო 14-ით პრინს უილიამსი გამოირჩა.

საპასუხო მატჩში ტიტებს 11 ქულით გამარჯვება ესაჭიროება, რათა ოთხთა ფინალში გავიდეს.

კაკტუსი-რუსთავი 86:94

(26:22, 21:19, 21:30, 18:23)

არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი კაკტუსელები ერთხანს 10 ქულით უგებდნენ და სენსაციასთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ლევან მასხულიას თამაშიდან გაძევებაა, რომელმაც 2 ტექნიკური ჯარიმა მიიღო.

საბოლოოდ რუსთაველებმა მაინც მოახერხეს გამარჯვების მოპოვება და სერიის საპასუხო მატჩს 8-ქულიანი ჰანდიკაპით ხვდებიან – 86:94.

გამარჯვებულთაგან 32 ქულით საუკეთესო იყო მალიქ უაითი. 16 ქულა დევიდ ოკეკემ მოაგროვა. 14-14 ქულა კი ჯილან ვაშინგტონისა და მაიკ დევისის ანგარიშზე დაგროვდა. კაკტუსში 28 ქულით საუკეთესო იყო სამაი ჰაინს ჯონსი. 14 ქულა ეი ჯეი სამბრომ მოაგროვა.

დინამო-ქუთაისი 76:81

(19:17, 16:21, 25:19, 16:24)

დინამოსა და ქუთაისის დაპირისპირება საკმაოდ დაძაბული გამოდგა. დინამოელები მატჩის უმეტეს დროს წინ იყვნენ, მაგრამ კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა დასკვნით ნაწილში უკეთ ითამაშეს და გამარჯვებამდე მისვლა მოახერხეს.

საბოლოოდ იმერულმა კლუბმა 81:76 იმარჯვა.

ქუთაისელებს 18-18 ქულით აკაკი დვალიშვილმა და ჟოელ ალმეიდამ ულიდერეს. დვალიშვილს პლუს 12 მოხსნაც ჰქონდა და მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. დინამოში 28 ქულით საუკეთესო იყო ლუკა ბულაშვილი.

ოლიმპი-თსუ 91:85

(31:18, 19:21, 15:26, 26:20)

მატჩი ოლიმპელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ იყო მომენტები, როცა უნივერსიტეტელებმა ბრძოლის ხასიათი გამოაჩინეს. ერთხანს 17 ქულით ჩამორჩენილი სტუდენტები, 3 ქულითაც გალიდერდნენ, მაგრამ თსუ-ს მაქსიმუმი ეს იყო. ბოლო პერიოდში ოლიმპელებმა სრული მობილიზებით ითამაშეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ – 91:85.

გამარჯვებულებს 21 ქულით კენდრიკ ტომპსონმა ულიდერა. 19 ქული ბუნდუ აბდულაიმ მიითვალა. თსუ-ში 21 ქულით საუკეთესო იყო ქუენთინ დავი, ხოლო მიხეილ ჭოჭუას ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა.

თასის გათამაშების მეოთხედფინალური სერიის საპასუხო მატჩები 21 და 22 აპრილს გაიმართება.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ბასილაშვილმა კრაიანოვიჩთან მატჩი ტრავმის გამო შეწყვიტა

ნიკოლოზ ბასილაშვილი მონტე კარლოში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირს პირველივე წრეში სერბ ფილიპ კრაიანოვიჩთან დაემშვიდობა. ამის მიზეზი ტრავმა უნდა იყოს, რადგან ჩვენებურმა ნაადრევად შეწყვიტა თამაში.

ბასილაშვილმა კორტზე 36 წუთი დაჰყო: პირველი სეტი 1:6 სულ რაღაც 25 წუთში წააგო. მეორეშიც 0:2-ს აგებდა, როდესაც თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა. ბასილაშვილმა ჯერ კიდევ პირველ სეტში მოითხოვა სამედიცინო შესვენება. როგორც ჩანს, ტრავმა მატჩის გაგრძელებაში დისკომფორტს უქმნიდა.

იმედია, ბასილაშვილი მალე დაუბრუნდება კორტს, რადგან წინ არაერთი საგრუნტო მასტერსი და როლან გაროსის გრანდ სლემია.

შერმადინმა ტავარეშთან წააგო, ბითაძე უქულოდ დარჩა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსმა ლოს ანჯელეს კლიპერსს უმასპინძლა და 3-მატჩიანი მოგებების სერია შეწყვიტა. ინდიანაპოლისელებმა 115:126 წააგეს.

ქართველ ცენტრს ბოლო პერიოდში წარმატებული თამაშები ჰქონდა, მაგრამ ამჯერად გოგამ თავი ვერაფრით გამოიჩინა. ბითაძემ 11 წუთში ქულაც ვერ აიღო და მხოლოდ 2 მოხსნასა და 1 დაფარებას დასჯერდა. გოგამ 2 ორქულიანი და 2 სამქულიანი ააცილა.

ინდიანა პეისერსი 25 გამარჯვებით და 28 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში კვლავ მე-9 ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი ჰიუსტონ როკეტსთან გამართავს.

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატში ტენერიფეს ყველაზე უხერხული მეტოქე მადრიდის რეალია, ხოლო გიორგი შერმადინისთვის – სამეფო კლუბის ცენტრი ვალტერ ტავარეში. ბოლო ტურში რეალმა სწორედ ტენერიფელებს უმასპინძლა და 86:78 დაამარცხა. ამით შეწყდა ტენერიფეს 6-მატჩიანი მოგებათა სერია.

ქართველი ცენტრი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 15 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. შერმადინმა 9-დან 5 ორქულიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

შერმადინის უშუალო ოპონენტი ამ მატჩში ესპანური ლიგის მვპ-ის ტიტულისთვის მებრძოლი ვალტერ ტავარეში გახლდათ, რომელმაც ქართველის მსგავსად 15 ქულა მიითვალა, მაგრამ საერთო სარგებლიანობით შერმადინზე გაცილებით მაღალი შედეგი დააფიქსირა. ამის მიზეზი ისაა, რომ ტავარეშს თამაშიდან ბურთი არ აუცილებია, მეტი მოხსნა და 5 დაფარება მიითვალა. შერმადინის სარგებლიანობის ინდექსი 15 გახლდათ, ხოლო ტავარეშის – 27. შერმადინ-ტავარეშის დუელს ესპანელმა ჟურნალისტებმა ტიტანთა ბრძოლა უწოდეს და მას ცალკე ვიდეორგოლი მიუძღვნეს.

რეალი 58 ქულით ჩემპიონატის ლიდერია, ტენერიფეს 46 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა. შერმადინის გუნდი მომდევნო ტურში უნიკახას შეხვდება, რომელიც ფლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 2. ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კომპანია; 3. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 4. ტროპიკული ხილი; 5. ღომში ჩახარშული სულგუნისგან მომზადებული მეგრული კერძი; 11. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 12. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 14. დემონი არაბულ ფოლკლორში; 16. ატომგულის შემადგენელი, დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი; 17. ბეწვიანი ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ზედა მოსასხამი; 19. ძლიერ ფეთქებადი ნივთიერება; 21. ბრიტანელი მწერალი, რომან „აივენგოს“ ავტორი; 22. პურეული მცენარე.

თარაზულად: 6. ესპანეთში მოთამაშე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 7. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 8. ერისთავის პიესა; 9. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 10. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 13. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 15. ამერიკელი ზანგების სასულიერო ჰიმნი; 18. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 20. გამოხარშული აბრეშუმის პარკი; 21. იაპონური ციფრულ-ლოგიკური გასართობი თავსატეხი; 23. სისხლის წნევის აწევა; 24. შაქრიანი დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ელია; 2. ინა; 3. გერიატრია; 4. დონგი; 5. ჟინვალი; 8. ნიკე; 9. ვაგნერი; 10. შორაპანი; 12. ბასტრი; 13. გროტი; 15. ქაცვი.

თარაზულად: 1. ერუდიტი; 6. ფელეტონი; 7. ხუნტა; 10. შტილი; 11. აკაბა; 13. გინზა; 14. იფქლი; 16. ტახო; 17. აერაცია; 18. ტალინი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პრიმატოსი; 2. პოლგარი; 3. პიექსი; 4. ჰავრი; 5. ანხელი; 11. ბასტრი; 12. ფროიდი; 14. მოლი; 16. კოსტავა; 17. კარტეში; 19. მენისკი; 21. ჯაყვა; 22. მზისა.

თარაზულად: 6. ბრეტიორი; 4. დუაოენი; 8. როდეო; 9. ქაჯაია; 10. სოტბი; 13. ასთმა; 15. სკეიტბორდი; 18. დიადემა; 20. აუდი; 21. ჯილაგი; 23. კათალიკოსი; 24. ჩაჩავა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4432

ევრო — 4.1177

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7375

100 რუსული რუბლი — 4.5431

ამინდის პროგნოზი 15 აპრილისათვის

ნეიმარი: „ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია“

პსჟ-ს ბრაზილიელმა ფორვარდმა ნეიმარმა ბაიერნთან დაპირისპირების შემდეგ თავისი გუნდის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება და ისინი ამისთვის ძალებს არ დაიშურებენ.

შეგახსენებთ, რომ შარშან პსჟ ჩემპიონთა ლიგის ფინალში იყო.

– ბაიერნის წინააღმდეგ ძალიან კარგი შეხვედრა ჩავატარეთ და წაგებას არ ვიმსახურებდით, თუმცა მთავარია, რომ შემდეგ ეტაპზე გავედით და ვიცი, რომ უფრო მეტი შეგვიძლია, – განაცხადა ნეიმარმა.

ვიდიჩი: „დროგბას წინააღმდეგ თამაში რთული იყო“

მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა მცველმა ნემანია ვიდიჩმა თავისი წარსული გაიხსენა და თქვა, რომ მისი ყველაზე რთული მეტოქე დიდიე დროგბა იყო, რომელიც მუდმივად მოძრაობდა და მისთვის ყოველთვის პრობლემებს ქმნიდა:

– მახსოვს დროგბას წინააღმდეგ თამაში და ჩემთვის ეს სასიამოვნო არასოდეს ყოფილა, რადგან ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფორვარდი იყო მსოფლიოში. მის გარდა, ფერნანდო ტორესს და სერხიო აგუეროს გამოვარჩევდი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კვარაცხელია აიაქსის ინტერესებში მოექცა

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქართველი ფეხბურთელის, ხვიჩა კვარაცხელიას აგენტი მამუკა ჯუღელი უახლოეს დროში ამსტერდამის აიაქსის სპორტულ დირექტორ მარკ ოვერმარსს შეხვდება.

ნიდერლანდული კლუბი დაინტერესებულია, რომ 20 წლის ქართველი ფეხბურთელი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას შეიძინოს. თუმცა, იმასაც შეგახსენებთ, რომ კვარაცხელიას მსურველთა რიგი დიდია: იუვენტუსი, მილანი, ინტერი, ატალანტა, ნაპოლი, ბაიერნი, დორტმუნდი.

თუ აიაქსის სატრანსფერო პოლიტიკას გადავხედავთ, ამსტერდამული კლუბი ყოველთვის გამოირჩევა ტალანტების შეძენით და მერე მათი სარფიანად გაყიდვით. კვარაცხელიასთვისაც ნიდერლანდების ჩემპიონატი ამ ასაკში მისაღები იქნება და ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის მუდმივი პრაქტიკა ექნება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ორმა ალიგატორმა მამაკაცის ეზოში ორთაბრძოლა მოაწყო

ამერიკის ფლორიდის შტატში რანჩო ლეიკვუდის უკანა ეზოში წყალსატევის ნაპირზე ორმა ალიგატორმა ურთიერთობის გასარკვევად ორთაბრძოლა გამართა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა წარმოადგინა.

გორდონ სილვერს ხმაური შემოესმა, ვიდეოკამერა აიღო და გარეთ გამოვიდა იმის სანახავად, თუ რა ხდებოდა. მან შენიშნა ორი ალიგატორი, რომლებიც ერთმანეთს ულრენდნენ. მამაკაცმა რეპტილიები ვიდეოზე გადაიღო. ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ებრძვის ერთმანეთს ორი ალიგატორი წყალსატევის ნაპირზე. ისინი ერთმანეთს წყალში აგდებენ.

– საკუთარი ეზოდან გასვლა არ დამჭირდა, რათა ეს ორი ალიგატორი, რომელთაც ორთაბრძოლა ჰქონდათ გამართული, ვიდეოზე გადამეღო, – განმარტა სილვერმა ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 აპრილისათვის

ვერძი – არ იაქტიუროთ. არასასიამოვნო ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. **კურო** – ვარსკვლავები დიდ გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალურ სფეროშიც წარმატებას მოიპოვებთ. **ტყუპები** – შესაფერისი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **კირჩხიბი** – ძველი, დავიწყებული პრობლემები კვლავ წამოტივტივდება. მოვლენები საღად შეაფასეთ. რეალობას ნუ მოსწყდებით. **ლომი** – ნუ იჯიუტებთ. თუ ვითარება მოითხოვს, კომპრომისი გამართლებულია. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა ან მოულოდნელი შეხვედრა თქვენს საქმეებზე ნეგატიურად აისახება. ემოციები აკონტროლეთ. **სასწორი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. დღეს საოცრად გაგიმართლებთ ნებისმიერ სფეროში. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში პრობლემებს გადააწყდებით. თქვენი არავის ესმის. **მშვილდოსანი** – ძალზე წარმატებული დღეა. ყველა ახალი წამოწყება გაამართლებს. **თხის რქა** – ნუ იქნებით ზედმეტად ჩაკეტილი. გარშემომყოფებს გული გაუხსენით. სიზმარი აგიხდებათ. **მერწყული** – დაწყებული საქმე დროულად დაამთავრეთ. საპირისპირო სქესთან სერიოზული კონფლიქტია მოსალოდნელი. **თევზები** – საქმიან სფეროში ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. შესაძლოა, ძალზე საინტერესო შემოთავაზება მიიღოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მამაკაცი მეძავთან არის. სექსის შემდეგ ფულის ნაცვლად აძლევს ნაპოვნ ოქროს ნატეხს, დათვის ტყავს, თაფლს, სულგუნს. ამით აღფრთოვანებული მეძავი ეუბნება:

– კიდევ ხომ არ გავიმეოროთ?

მამაკაცი დასთანხმდა. მეორედ საქმის მოლევის შემდეგ აკრიფა ყველაფერი, ტომარაში ჩაალაგა და მიდის. გაოგნებული მეძავი ეკითხება:

– სად მიგაქვს ეგ ყველაფერი, წეღან მე არ მომეცი?!

– პირველად მე მინდოდა და მე გადავიხადე, მეორედ შენ გინდოდა და, ჰოდა, შენ გადაიხადე!

●●●

საწარმოს დირექტორთან მისი მოადგილე შედის და ეუბნება:

– შენმა მდივანმა ტყუპები გააჩინა.

– მიდი, რაა...

– მე უკვე ვიყავი და ჩემი წამოვიყვანე, ახლა შენი ჯერია...

●●●

ავტობუსში მოხუცი ქალი გაოცებული გამომეტყველებით შესცქერის სვირინგებიან გოგონას.

– რა იყო, ბებო, სვირინგები არ გინახავს? რა, თქვენ დროს არ იკეთებდნენ?

– შვილო, ჩემ დროს ყველაფერი იყო. იცი, მე ჩინურს ვასწავლი და ვერაფრით გამიგია, კისერზე რატომ გაწერია ჩინურად: „ხელმეორედ გაყინვას არ ექვემდებარება“.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩემს ჰალსტუხს ისევ ვერ ვპოულობ და სად გადაიტანე ჩვენი კარადა?

●●●

განცხადება გაცნობის გვერდზე:

– ცალთვალა, ცალხელა და ცალფეხა მამაკაცი ცხოვრების მეორე ნახევარს ეძებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინუცა მაყაშვილი ჩივილს არ აპირებს



მსახიობი ნინუცა მაყაშვილი შსს-ში გამოკითხვაზე დაიბარეს მას შემდეგ, რაც ყოფილი მეუღლე ბესო ზანგური ძალადობაში დაადანაშაულა.

ნინუცამ განაცხადა, რომ ჩივილს არ აპირებს, რადგან ბესოს დაჭერა და ციხეში ჩასმა არ სურს.

„ფარული კონვერტის“ პროდიუსერებმა გადაცემა დატოვეს

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „ფარული კონვერტი“ მისმა პროდიუსერებმა ქეთი გუნცაძემ და ეკატერინე გვახარიამ დატოვეს:

– ეს არის „ფარულ კონვერტში“ ჩემი – ქეთი გუნცაძის და ეკას – ეკატერინე გვახარიას 3-წლიანი მუშაობის ბოლო აკორდი. ამ პერიოდში შევხვდით უამრავ საინტერესო სტუმარს, მოვისმინეთ მათი გულახდილი და ემოციური თავგადასავლები, შევიძინეთ მეგობრები.

ყოველთვის ვცდილობდით, სტუმრებს თავი კომფორტულად და შინაურულად ეგრძნოთ, ეთქვათ ის, რასაც აქამდე გულში ინახავდნენ და ვფიქრობ, შევძელით კიდეც და ნინუცაც ამის ნათელი მაგალითია.

სამწუხაროდ, ყველაფერ ამის შემდეგ, ჩვენ თავად აღმოვჩნდით წამყვანის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობისა და შეურაცხყოფის მსხვერპლები, ამიტომაც დღეს ვემშვიდობებით „ფარულ კონვერტს“!

დათა თავაძე: „რუსთაველის თეატრი საპყრობილეა!“

მსახიობი და რეჟისორი დათა თავაძე რუსთაველის თეატრს საპყრობილეს უწოდებს:

– მთელი გულით ვამაყობ ნინუცას გამბედაობით. ერთია, საკუთარ თავში იმის ძალა მონახო, რომ შენი ისტორია მოყვე და მეორეა, იმის მხნეობაც გეყოს, ოპტიმისტურ, გამოსავლისკენ ორიენტირებულ მოწოდებად აქციო. ვისურვებ, ერთმანეთი ისე გავაძლიეროთ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა იპოვოს საკუთარ თავში ეს დიდი მხნეობა და გამბედაობა!

ასევე, ძალიან ვწუხვარ, რომ ის თეატრი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ყველა ის მსახიობი, რომელიც მიყვარს ადამიანურადაც და როგორც მაყურებელს, აღმოჩნდნენ ამ მდგომარეობაში! დიახ, დღევანდელი რუსთაველის თეატრი საპყრობილეა – აქ აძევებენ პოლიტიკური ნიშნით, განსხვავებულ, კრიტიკულ აზრს ახშობენ და ხელს აფარებენ მოძალადეებს...

გაუგონარია, ნებისმიერ სახელმწიფო ინსტიტუციას ამგვარი რეპუტაცია ჰქონდეს, გაუგონარია, გადასახადების გადამხდელების ფულით ფინანსდებოდნენ მოძალადეები..!

რობერტ სტურუა: „ქალებმა 1937 წელი დაიწყეს!“

რუსთაველის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა აცხადებს, რომ ქალებმა 1937 წელი დაიწყეს:

– ვგრძნობდი, რომ ესენი ბოლშევიკები იყვნენ, ნეოკომუნისტები! და ქალებმა 1937 წელი დაიწყეს! რეპრესიები!

წინათ, ქალი, ქმარი რომ მიატოვებდა, ჰომოსექსუალიზმს აბრალებდა, ახლა ვეღარ ბედავს, ეშინია, დემოკრატად აღარ ჩათვლიან, ამიტომ კივიან: ოცი წლის წინ მცემდაო და ფულსაც პარფიუმერიისთვის იჯიბებენ!

ვაშა ახალ დიდებას! ვაშა კომუნიზმს!

როცა კაცს კლავთ და არ ხართ მის დანაშაულში 100% დარწმუნებული, ყველაფრის ღირსნი ხართ! სასტიკი სასჯელისა!

ბესო ზანგურს ძალადობაში ელენე მაცხონაშვილიც ადანაშაულებს



მსახიობ ბესო ზანგურს ძალადობაში რეჟისორი ელენე მაცხონაშვილიც ადანაშაულებს:

– დიახ, ეს კაცი არის მოძალადე! თეატრალურ უნივერსიტეტში, ბევრი წლის წინ, ჩემი თვალით ვნახე, ვნახე, ბესო ზანგური როგორ სცემდა თავისივე შეყვარებულ გოგოს. სცემდა აუდიტორიაში და სცემდა უმოწყალოდ! საკმაოდ რთულად და დიდი გაჭირვებით გამოვართვით ის გოგო მაშინ ხელიდან! იმედი მაქვს, სხვა თეატრები და თეატრალები მაინც ილაპარაკებენ ძალადობაზე, ილაპარაკებენ ადეკვატურად და საღად! „დაგმობა“ ცოტაა! დაცინვას უფრო ჰგავს ეგ,??ჰოდა, ვინც ძალადობას არ ემიჯნებით, „ეროვნული სტატუსიც“ უკან გაიკეთეთ!

ლაშა ჯუხარაშვილი: „რუსთაველის ეროვნულო თეატრო, მიყვარხარ და ნუ მაწყენინებ“

მსახიობ ლაშა ჯუხარაშვილის სურვილია, რომ მისმა საყვარელმა რუსთაველის თეატრმა არ აწყენინოს:

– ახალ ამბებს ჩავუჯექი: ძალადობა, ძალადობა, ძალადობა...

თეატრი? ქვეყანა? რას ვაპირებთ? ტრაკში ვართ, იძახეთ ახლა, იმის ბრალი, ამის ბრალი, სიჩუმის ბრალია.

გოგოს მამაც ვარ. მამა ვარ. მე გოგონაც მყავს. სადამდეც შევძლებ, მასთან ვიქნები.

რუსთაველის ეროვნულო თეატრო, მიყვარხარ და ნუ მაწყენინებ. აგრესიულ კომპლექსებში გახვეული ქვეყანა. ნინუცა, მიყვარხარ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. რაიმე მოვლენის ცალკეული სტადია, მომენტი; 2. მდინარე ციმბირში; 3. იტალიური საკონდიტრო; 4. სისხლისა და ლიმფისგან დამზადებული, ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 5. თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 8. თავადის ტიტული ინდოეთში; 9. ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი; 10. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 12. ქვეყნისთვის სასიკეთო საქმისთვის გაწეული შრომა; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი; 15. სამხრეთ კორეის დედაქალაქი.

თარაზულად: 1. ბეთჰოვენის ოპერა; 6. პოლიციელი საფრანგეთში; 7. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 10. ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 11. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 13. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 16. რბილი ტყავისგან დამზადებული, დაბალყელიანი ფეხსაცმელი ძველად საქართველოში; 17. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 18. ერთ-ერთი კონტინენტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა